# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 მაისი 2005 №110 (2433) ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## 900 ზვიადი წუთი

სტურუამ ლოკომოტივში მშრალი კანონი გამოაცხადა

3



## ფრენა უკვე შემიძლია

ინტერვიუ ლევან მაღრაძესთან

3




## ალკმაარმა არეულაძეს ორნლიანი შესთავაზა

6

# ავი შედეგი ავიამშენისთვის

## დღეს ვერის ბაღში იმედის მატჩია

„ავიამშენისა“ და „სტუ-ჯეოსელის“ საჩემპიონო შეხლაში ფინალური სერიის მესამე მატჩი ყველაზე დაძაბული გამოდგა. გუშინ ტექნიკოსებმა ბოლო წუთზე გამოგლიჯეს „ავიამშენს“ გამარჯვება და მიზანს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ. საერთო ანგარიში 2:1 გახდა ტექნიკოსთა სასარგებლოდ და ახლა მათ ჩემპიონობამდე ერთი გამარჯვებაღა აკლიათ. დღეს, საღამოს ექვს საათზე, ვერის ბაღში სტუ-სთვის გადამწყვეტი, „ავიამშენისთვის“ კი იმედის მატჩია დანიშნული. თუ საავიაციო ქარხნის გუნდს ჯერაც შერჩენია საჩემპიონო ამბიცია, ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოიგოს, ასე რომ...



# რუსებმა უეფას კუბო კი დადგეს




AFP

# უეფას თასი 2004-2005. ფინალი

ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე". 65 000 მაყურებელი

## სპორტინგი 1:3 ცსკა

# უეფას თასი პორტუგაილია







ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, ვგონებთ, ასე გამოდის და რომ არ ვთქვათ, არ შეგვიძლია: შარშან, ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრებმა შინ, ლისაბონში, ფინალი ნაკლებად სახელოვან და შთამბეჭდავ საბერძნეთთან წააგო. გუშინ პორტუგალიურმა „სპორტინგმა" იმავე ლისაბონიდან, უფრო კონკრეტულად კი, საკუთარი „ჟოზე ალვალადედან" ნაკლებად სახელოვან და შთამბეჭდავ მოსკოვის ცსკა-ს გაატანა უეფას თასი...

დასკვნები, თუ მათი გაკეთება შესაძლებელია, თქვენთვის მოგვინდია, ჩვენ კი კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ ეჭვს, რომ უეფას თასმა სრული ინფლაცია განიცადა და ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ წუხელ მოსკოვის ცსკა-მ გაიმარჯვა და ეს პოლიტიკური მოსაზრებებით არ გვესიამოვნა, არამედ იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩებთან შედარებით გუშინ აშკარად დაბალი დონის ფეხბურთი ვიხილეთ, ნახევარფინალში იტალიის პირველობის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, „პარმამ" მეორე შემადგენლობით თამაში აკადრა ამ შეჯიბრებას და სხვა...

წუხელ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლიგისა და წამყვანი ევროპული ქვეყნების ჩემპიონატების თამაშებით განებივრებულმა თვალმა იხილა, ერთი მხრივ, ქუჩური ფეხბურთი კარგი შესრულებით, მეორე მხრივ კი რაციონალური ფეხბურთი ცუდი შესრულებით. გაიმარჯვა რაციონალიზმმა და კონტრშეტევამ.

ჩვენ კი ნუ დავივიწყებთ, რომ ამ „სპორტინგთან" თბილისის „დინამომ" შემოდგომაზე შინ 0:4 წააგო.

## უეფას თასის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1958 | ლონდონი (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2:2, 0:6 |
| 1960 | ბარსელონა (ესპანეთი) — ბირმინგემი (ინგლისი) | 1:1, 4:1 |
| 1961 | რომა (იტალია) — ბირმინგემი (ინგლისი) | 2:0, 2:2 |
| 1962 | ვალენსია (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 6:2, 1:1 |
| 1963 | ვალენსია (ესპანეთი) — დინამო (იუგოსლავია) | 2:0, 2:1 |
| 1964 | სარაგოსა (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | 2:1 |
| 1965 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1966 | ბარსელონა (ესპანეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) | 0:1, 4:2 |
| 1967 | დინამო (იუგოსლავია) — ლიდსი (ინგლისი) | 2:0, 0:0 |
| 1968 | ლიდსი (ინგლისი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | 1:0, 0:0 |
| 1969 | ნიუკასლი (ინგლისი) — უიპეშტი (უნგრეთი) | 3:0, 3:2 |
| 1970 | ანდერლეხტი (ბელგია) — არსენალი (ინგლისი) | 3:1, 0:3 |
| 1971 | იუვენტუსი (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) | 2:2, 1:1 |
| 1972 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) — ტოტენჰემი (ინგლისი) | 1:2, 1:1 |
| 1973 | ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 3:0, 0:2 |
| 1974 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 2:2, 0:2 |
| 1975 | მიონხენგლადბახი (გფრ) — ტვენტე (ჰოლანდია) | 0:0, 5:1 |
| 1976 | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) | 3:2, 1:1 |
| 1977 | იუვენტუსი (იტალია) — ბილბაო (ესპანეთი) | 1:0, 1:2 |
| 1978 | ბასტია (საფრანგეთი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 0:0, 0:3 |
| 1979 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 1:1, 0:1 |
| 1980 | მიონხენგლადბახი (გფრ) — აინტრახტი (გფრ) | 3:2, 0:1 |
| 1981 | იფსვიჩი (ინგლისი) — ალკმაარი (ჰოლანდია) | 3:0, 2:4 |
| 1982 | გიოტებორგი (შვედეთი) — ჰამბურგი (გფრ) | 1:0, 3:0 |
| 1983 | ანდერლეხტი (ბელგია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0, 1:1 |
| 1984 | ანდერლეხტი (ბელგია) — ტოტენჰემი (ინგლისი) | 1:1, 1:1(პენ.3:4) |
| 1985 | ვიდეოტონი (უნგრეთი) — რეალი (ესპანეთი) | 0:3, 1:0 |
| 1986 | რეალი (ესპანეთი) — კიოლნი (გფრ) | 5:1, 0:2 |
| 1987 | გიოტებორგი (შვედეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) | 1:0, 1:1 |
| 1988 | ესპანიოლი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გფრ) | 3:0, 0:3(პენ.2:3) |
| 1989 | ნაპოლი (იტალია) — შტუტგარტი (გფრ) | 2:1, 3:3 |
| 1990 | იუვენტუსი (იტალია) — ფიორენტინა (იტალია) | 3:1, 0:0 |
| 1991 | ინტერი (იტალია) — რომა (იტალია) | 2:0, 0:1 |
| 1992 | ტორინო (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 2:2, 0:0 |
| 1993 | დორტმუნდი (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:3, 0:3 |
| 1994 | ზალცბურგი (ავსტრია) — ინტერი (იტალია) | 0:1, 0:1 |
| 1995 | პარმა (იტალია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0, 1:1 |
| 1996 | ბაიერნი (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) | 2:0, 3:1 |
| 1997 | შალკე (გერმანია) — ინტერი (იტალია) | 1:0, 0:1(პენ.4:1) |
| 1998 | ინტერი (იტალია) — ლაციო (იტალია) | 3:0 |
| 1999 | პარმა (იტალია) — მარსელი (საფრანგეთი) | 3:0 |
| 2000 | გალათასარაი (თურქეთი) — არსენალი (ინგლისი) | 0:0(პენ.4:1) |
| 2001 | ლივერპული (ინგლისი) — ალავესი (ესპანეთი) | 5:4დ.დ.(4:4) |
| 2002 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — დორტმუნდი (გერმანია) | 3:2 |
| 2003 | პორტუ (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია) | 3:2დ.დ.(2:2) |
| 2004 | ვალენსია (ესპანეთი) — მარსელი (საფრანგეთი) | 2:0 |
| 2005 | სპორტინგი (პორტუგალია) — ცსკა (რუსეთი) | 1:3 |

# 900 ზვიადი წუთი

## სტურუამ ლოკომოტივში მშრალი კანონი გამოაცხადა

### შეუშვით ნაკრებში გაუშვებელი

*საქართველოს ჩემპიონატს ახალი რეკორდსმენი ჰყავს — „ლოკომოტივის" მეკარე ზვიად სტურუამ გუშინ „დინამოსთან" მატჩშიც მშრალად შეინახა კარი და ირაკლი ზოიძის 810-წუთიანი რეკორდი დაამხო. ზედიზედ ათი მატჩი, ანუ 900 წუთი გოლგაუშვებლად — ასეთია სტურუას ახალი რეკორდი, რასაც მას გულწრფელად ვულოცავთ. ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონატის ერთგულ მაყურებელს აუცილებლად გაუჩნდება კითხვა: რატომ არ იწვევენ სტურუას ნაკრებში? ამ საკითხზე გუშინდელი დღის გმირსაც ველაპარაკეთ, თუმც, ისე როგორ იქნებოდა, მანამდე რეკორდზე რომ არ გვეკითხა...*

**— რამდენიმე წუთის წინ საქართველოს ჩემპიონატის რეკორდსმენი გახდი — ზედიზედ ათი მატჩია, გოლი არ გაგიშვია. რას გრძნობ ახლა?**

— რაც უნდა ვიძახოთ, საქართველოს ჩემპიონატი დაბალი დონისაოა, ესაო, ისაო, ფაქტია, ჩვენ ამ ქვეყნის შვილები ვართ და რაც გვაქვს, ჩვენივე მისახედია. პირადად მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თუნდაც ამ ჩემპიონატში მოკრძალებულ შედეგს მივაღწიე. თითქმის ორი თვეა, გოლი არ გამიშვია და ეს ამბავი მართლა ძალიან მიხარია.

**— 76-ე წუთამდე თუ გაძლებდი, რეკორდსაც მოხსნიდი. როცა ეს დრო ახლოვდებოდა, ნერვიულობდი?**

— მატჩის დაწყებამდე კი ვიცოდი, რომ ეგრე იყო, მაგრამ მერე ისე ჩავერთე თამაშში, ყველაფერი გადამავიწყდა. ნერვიულობა დაახლოებით 70-ე წუთიდან დამეწყო. მაშინ უკვე მივხვდი, რომ რეკორდამდე წუთებიღა მაკლდა.

**— ისე, პირველივე წუთებზე შოთა ბაბუნაშვილის სახიფათო დარტყმულს თუ მოიგერიებდი, ბევრს არც ეგონა. ჩანს, მართლა განსაკუთრებულად მობილიზებული იყავი...**

— ბაბუნაშვილი ჩემი ძალიან ახლო მეგობარია და თამაშამდე დამემუქრა, პირველივე წუთებზე გაგიტან, მოვალ, ხელს ჩამოგართმევ და არ გეწყინოსო. მერე მესიჯიც გამომიგზავნა, აუცილებლად გაგიტანო, მაგრამ ველარ შეძლო.

**— მოკლედ, ახლა რეკორდსმენი ხარ და ალბათ მომდევნო მატჩებშიც ეცდები შენივე მიღწევის გაუმჯობესებას.**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ ეს რეკორდი მხოლოდ მე არ მეკუთვნის, მთელი გუნდის დამსახურებაა, განსაკუთრებით მეკარეთა მწვრთნელ მამუკა აბუსერიძეს გამოვარჩევ, მას ძალიან ვემადლიერები. რეკორდის გაუმჯობესება კი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული და, რა თქმა უნდა, უკან არ დავიხევთ.

**— მიგაჩნია, რომ ამ რეკორდით ნაკრებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგი?**

— ამ თემაზე ლაპარაკი ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. ყველამ იცის, რომ ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა და რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ ამის მისაღწევად. მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— მაინც როგორ ფიქრობ, რატომ არ გიწვევენ ნაკრებში?**

— არ ვიცი. ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია და მე ვერაფერს ვიტყვი. ჩემი საქმე თამაშია, დანარჩენი კი მწვრთნელებმა იციან.

**— ზვიად სტურუა საქართველოს საუკეთესო მეკარეა?**

— მე ის ვიცი, რომ ეს სეზონი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემთვის, საკუთარ თავზე კი, საუკეთესოაო, არასოდეს ვიტყვი.

**კახა შალამბერიძე**



# თვითმფრინავით მგზავრობა უკვე შემიძლია

## ლევან მაღრაძე საალბანეთოდ მოფრინავს

გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი გასულ უქმეებზე საბერძნეთში იყო და იქაური ეროვნული ჩემპიონატის მატჩს, „ქსანთი" — „კალითეას" დაესწრო, რათა ქსანთელი ლევან მაღრაძე საქმეში ენახა.

ახლა კი „სარბიელის" კითხვებს პასუხობს მაღრაძე, ვინც შარშან ერთხელ ითამაშა კიდეც ეროვნული გუნდის მაისურით კვიპროსის ტურნირში, როცა ჩვენი ნაკრების დროებითი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა იყო...



ლევან მაღრაძემ (№22) ბერძნულ „ოლ სტარშიც" ითამაშა

— „ქსანთიში" ამ სეზონისთვის გადმოვედი კვიპროსული აელ-იდან. კვიპროსზე კი საქართველოდან 1999 წელს წავედი, მანამდე ზესტაფონის „მარგვეთში" და თსუ-ში ვთამაშობდი. აელ-თან ხუთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, თუმც სხვადასხვა კვიპროსულ გუნდში ვიყავი განათხოვრებული, ბოლო ორი სეზონი კი აელ-ში ვითამაშე.

**— „ქსანთიში" როგორ აღმოჩნდი?**

— აელ-ის მწვრთნელი იანის მაცურაკისი მიიწვიეს „ქსანთიში" და მეც თან წამიყვანა.

**— „ქსანთიში" სულ მარჯვენა მცველად თამაშობ?**

— როცა 4-4-2-ით ვთამაშობთ, კი, ხოლო 3-5-2-ის დროს მარჯვენა ფლანგის კონტროლი მევალება.

**— „ოლიმპიაკოსი", „პანათინაიკოსი" და აეკ-ი — ბერძნული ფეხბურთის ამ სახელიან გუნდებსა და „ქსანთის" შორის დიდი სხვაობაა?**

— „ოლიმპიაკოსს" და „პანათინაიკოსს" შინ მოვუგეთ, ხოლო აეკ-თან ფრე ვითამაშეთ. მოკლედ, ჩვენსა და მათ შორის დიდი სხვაობა არაა, ფინანსური შესაძლებლობებით კი ეს გუნდები საბერძნეთში მართლაც ყველას აღემატებიან.

**— „ქსანთისთან" კონტრაქტი როდემდე გაქვს?**

— შარშან 1+1+1 კონტრაქტი გავაფორმე და დავრჩები თუ არა კიდევ „ქსანთიში", კლუბის გადასაწყვეტია. ვფიქრობ, „ქსანთიში" ჩემით კმაყოფილები არიან.

**— მოკლედ, გსურს, რომ „ქსანთიში" დარჩე...**

— მეოთხე ადგილზე ვართ და უეფას თასზე თამაში განაღდებული გვაქვს — თუ მეხუთეზე ჩამოვქვეითდებით, უეფას თასის საგზური მაინც გვერგება.

**— ჟირესმა რომ საბერძნეთში გნახა, რა გითხრა, 4 ივნისის ალბანეთთან მატჩისთვის გამოგიძახებო?**

— კი, ეგრე მითხრა.

**— საბერძნეთთან და თურქეთთან მატჩებისთვის ვერ ჩამოხვედი, გვითხარი, ათენის აეროპორტში, თვითმფრინავის სალონში შეუძლოდ გავხდიო. თვითმფრინავით მგზავრობის შიში ახლა აღარ შეგაწუხებს?**

— ექიმებმა მაშინ მხოლოდ ერთი თვით ამიკრძალეს თვითმფრინავით მგზავრობა. გუშინ „ოლ სტარის" მატჩი ვითამაშე — საბერძნეთის ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერები ბერძნების წინააღმდეგ — შეხვედრა კუნძულ კრეტაზე გაიმართა და იქ თვითმფრინავით ჩავედი. ასე რომ, თვითმფრინავით მგზავრობას აღარ შევუწუხებივარ. მატჩი კი ჩვენ 3:1 მოვიგეთ და მე 90 წუთი ვითამაშე. თან ჩვენს გუნდში არ იყო რივალდო, რომელიც „ოლიმპიაკოსს" ამ შაბათს საბერძნეთის თასის ფინალი ელის „არისთან" და კლუბმა არ გამოუშვა.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი 34 ტური

# რეკორდნულები

## სტურუამ ზოიძეს ბუბლიკები წაართვა



თბილისი. 18 აპრილი. 17 საათი. მიხეილ მესხი. 500 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 0:0 დინამო

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი:** სტურუა, მახვილაძე, გიგაური, რ. ონიანი, სუთურიძე, გ. ონიანი, სანიკიძე (რამონი 82), ქებაძე (კახელიშვილი 71), მანჩხავა, სირბილაძე, ბობოხიძე (ალავერდაშვილი 81) *სათადარიგონი:* ზ. ჩალაძე, ექონია, მძინარიშვილი, დ. ფოფხაძე **მწვრთნელი:** ნოდარ აკობია | **დინამო:** ზოიძე, ჭიჭველიშვილი, კანდელაკი, სილაგაძე, ალადაშვილი, ნავალოვსკი, ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, ბაბუნაშვილი, კაკალაძე (დვალიშვილი 46), მელქაძე (დვალი 77; კ. მახარაძე 82) *სათადარიგონი:* შეყრილაძე, ლ. ჭელიძე, მიქაძე, გ. ჭელიძე **მწვრთნელი:** კახა ცხადაძე |

**გაფრთხილება:** ბაბუნაშვილი (21), რ. ონიანი (22), ბაბუნაშვილი (79)

**გაძევება:** ბაბუნაშვილი (79)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**ინსპექტორი:** ნ. კაკულია

კობა ინასარიძე

„ლოკომოტივის" მეკარე ზვიად სტურუა გუშინ რეკორდსმენი შეიქნა — 900 წუთი, ანუ 10 მატჩი უგოლოდ. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივი" ხომ წაუგებელია და, აგერ, ახლა მისი მეკარის ყოჩაღობაც გვაქვს აღსანიშნი. ისე, ჩვენ კი ხშირ-ხშირად ვამბობთ, ზვიად სტურუა კარგი მეკარეაო, ხოლო ნაკრების მწვრთნელები მაღალი კლასის მეკარეების ნაკლებობაზე ჩივიან, მაგრამ არ დაადგა საშველი და სტურუა ეროვნულ გუნდში არ გამოიძახეს. არადა, ზვიადი „ლოკომოტივში" გადასვლამდე ქუთაისის „ტორპედოში" სწორედ ნაკრების მეკარეების მწვრთნელის შეგირდი იყო...

გუშინ კი ზვიად სტურუამ „დინამოს" მეკარის, ირაკლი ზოიძის რეკორდი გააუმჯობესა, ვინც საპირისპირო კარში იდგა და ერთგვარად მათი დუელის მოწმენიც გავხდით. თუმცა მატჩი უგოლოდ დამთავრდა.

„დინამომ" თავიდან მწარედ შეუტია და პირველსავე წუთზე შეეძლო გატანა: ექსტორპედოელმა შოთა ბაბუნაშვილმა ქუთაისელ მეგობარ-მეკარეს შორეულ ცხრიანში მოჭრილი დაურტყა, მაგრამ ზვიადმა არ გაატანინა. წუთშივე, „ლოკომოტივის" მცველებს თამაშგარე რომ ეგონათ, არბიტრის თანაშემწე მამუკა ელიკაშვილმა სხვანაირად განსაჯა და მიხეილ კაკალაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა. სტურუამ ამ ეპიზოდშიც ივაჟკაცა, თავდამსხმელს დაასწრო და ბურთი აუტში მოიგერია.

მერე უკვე საქმე ირაკლი ზოიძეს მიეცა — ჯერ ნუკრი მანჩხავას დარტყმულს დაუხვდა, ერთი-ორი წუთის შემდეგ კი გატანა მიხეილ ბობოხიძეს არ დაანება.

შესვენებაზე „დინამოს" თავკაცმა კახა ცხადაძემ კაკალაძე ვლადიმერ დვალიშვილით შეცვალა. მთავარმეგოლე ლევან მელქაძეს ის შეუწყვილა და სტუმართა შეტევებიც საგრძნობლად გამწვავდა. სწორედ დვალიშვილს ჰქონდა ორი რეალური საგოლე შანსი, მაგრამ ერთხელ მეკარეს ვერ აჯობა, მეორედ კი, მელქაძესთან გათამაშებულ ბურთს კარის სიახლოვიდან რომ დაჰკრა, მიზანში ვერ მოარტყა. არადა, ისეთი მომენტები იყო, კაცი უკეთესს რას ინატრებდი. ეს ამბები თამაშის განახლებიდან 10-15 წუთში მოხდა, ამის შემდეგ კი, ვიდრე ბოლო წუთამდე, მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. თუმცა არბიტრმა ალექსანდრე შილაკაძემ უწესრიგობისთვის იქამდე უხეშობისთვის გაფრთხილებული შოთა ბაბუნაშვილი დაითხოვა და „დინამო" კაცნაკლული დარჩა. ცხადაძემ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და, ამ გაძევებამდე მოედანზე ხუთი წუთის შესული ფორვარდი ჯაბა დვალი უკანვე გაიხმო, ის ნახევარმცველ კახა მახარაძით შეცვალა.

...სულ ბოლო წუთზე კი „დინამო" გადარჩა: გიორგი კახელიშვილმა კარს ოთხი მეტრიდან აცილა, ბურთი ტერფზე კარგად ვერ მოირგო და სტუმრებს ქულა გაატანა.






საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · მეორე ეტაპი · 34 ტური



ბადრი ქეთიშვილის ფოტო

# კარნევალი მალაღურაძეს გაებუტა
## გუშინ ტორპედომ ისანშიც მოიგო

თბილისი. 18 მაისი. 17 საათი. ოლიმპი. 600 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 მესხი (47), 2:0 ფიფია (73), 2:1 მარცვალაძე (82)

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ლოლაძე, მიქიაშვილი, გ. ფოფხაძე, მესხი (ლილუაშვილი 78), აფციაური (მინ ჩოი 78), გეწაძე, ბ. ქლენტი (რევაზ ბარაბაძე 90), იაშვილი, ფიფია
*სათადარიგონი:* კ. ჯინჭარაძე, ბოჭორიძე, გ. კვარაცხელია, ხიდეშელი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, თ. კობიაშვილი, კვახაძე, იმედაშვილი, დ. ლომაია (სახოკია 60), პ. დათუნაიშვილი, გ. დათუნაიშვილი (ფიქრიაშვილი 54), რაზმაძე, ლ. კვარაცხელია, გ. გოჩაშვილი (ჩილვინაძე 66), მარცვალაძე
*სათადარიგონი:* ჭურაძე, ინწკირველი, გველესიანი, ებანოიძე
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** კვახაძე (24), კობიაშვილი (33), პ. დათუნაიშვილი (35), გ. დათუნაიშვილი (38), ქემოკლიძე (61), პ. დათუნაიშვილი (65)

**გაძევება:** პ. დათუნაიშვილი (65)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ნ. რუხიშვილი (ქუთაისი); ა. კრიჟაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

**ილია ნანობაშვილი**

**„ვიტ ჯორჯია“** ახლაა მორყეულ-მოფამფალებული და ბოლო ტურებში ქულების გამცემ საამქროდ იქცა, მაგრამ ამ გუნდს უეცრად ათამაშება სჩვევია, განსაკუთრებით კი ლიდერებთან იცის თავის გამოდება. ვიტელებმა გუშინ იომეს და ძალიანაც უნდოდათ „თბილისთან“ ტოლ-სწორად თამაში, მაგრამ ძალამ აღმართი და მოტივაცია ვერ მოხნა — „ვიტ ჯორჯია“ ცხრილის შუაშია გაჭედილი, „თბილისი“ კი მესამე ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებას ცდილობს და რა გასაკვირია, ლუის ცაკარიასის ბიჭებს რომ უფრო სდომებოდათ მოგება. ჰოდა, ეს ფაქტორი პირველივე წუთებიდან არა, მაგრამ პირველი ტაიმის შუაწელიდან კი ამოქმედდა.

ჯანი კარნევალის გუნდს ნახევარდაცვის ხერხემალი დავით დიღმელაშვილი აკლდა, რამაც „თბილისს“ მოედნის ცენტრში გაბატონების საშუალება მისცა. საყრდენმა მიხეილ მესხმა ჯარასავით იტრიალა და ზოგჯერ ორ-სამ ვიტჯორჯიელსაც ერეოდა. თორნიკე აფციაურმაც რამდენჯერმე „წაუბრაზილიურა“ ფინტებით, ხოლო თავდასხმაში გოგი ფიფიამ და სანდრო იაშვილმა ფუტკრებივით იშრომეს. ფიფიას ორჯერ გაუცუდდა უნაღდესი მომენტი: ჯერ იაშვილის გრძელი პასის შემდეგ მცველებს დაუსხლტა და გრიგოლ ბედიაშვილს ვერ აჯობა, მერე კი საჯარიმოში მოსხიპა მეურვეები და ოდნავ ააცილა. ერთხელ ვიტელ ოთარ მარცვალაძესაც ჰქონდა გასატანი, მაგრამ ათიოდ მეტრიდან დარტყმულს „თბილისის“ მცველი ბესო მიქიაშვილი გადაეფარა.

მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმოში დაასახლეს კარნევალის ბიჭები და მომწიფებულმა გოლმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გამოიღო ნაყოფი. აფციაურის საჯარიმოდან ჩაკიდებულს მესხმა თავური შეაგება, ბედიაშვილმა ძლივს მოიგერია ბურთი, მაგრამ დამატებაზე ისევ მესხმა „დაამეხა“.

„თბილისმა“ საქმის იქვე მომთავრება გადაწყვიტა, იაშვილმა ეფექტური თავურით და საჯარიმოდან გასროლით ორჯერ სცადა ბედი, მაგრამ გოლის გატანა მაინც ფიფიას ეწერა: რევაზ გეწაძის პასით გოგი პირისპირ შეეყარა ბედიაშვილს და თავზე გადაუგდო ბურთი — 2:0.

ამ დროს „ვიტ ჯორჯია“ უკვე კაცნაკლული თამაშობდა. მერაბ მალაღურაძემ მეორედ გააყვითლა პავლე დათუნაიშვილი, იქამდე მისი თანაგუნდელებიც არ დაინდო და „ტორპედოს“ კარგი საქმე გაუკეთა. რა შუაშია „ტორპედო“? მომდევნო ტურში ხომ ვეტერინარები ქუთათურებს ხვდებიან. მალაღურაძე კიდევ ორჯერ მოხვდა ეპიცენტრში — ჯერ მასპინძლები შეედავნენ, ფიფიას წაქცევისთვის პენალტი რატომ არ დანიშნეო, მერე კი ოთარ მარცვალაძის გოლი გააუქმა, რადგან მანამდე დავით იმედაშვილი დააჯარიმა.

გაუქმებული გოლი 83-ე წუთზე გავიდა, ერთი წუთით ადრე კი მარცვალაძეს უკვე მიეთვალა თავისი ულუფა, შეცვლაზე ომახიანად შესული ზაზა სახოკიას პასით სოსო გრიშიკაშვილს თვალი გაუსწორა და აულებელი დაურტყა.

ჩოგბურთივით აქეთ-იქით შეტევებით ჩაიარა ბოლო წუთებმა, მაგრამ „თბილისი“ უფრო მხნედ ჩანდა, იაშვილი ერთხელაც აბობოქრდა, ძელი შეაზანზარა და თამაშიც აქ მორჩა...

*ჯანი კარნევალი:* კარგი თამაში იყო, მაგრამ საშინელი მსაჯობა დაერთო. ჩვენ ისედაც პრობლემები გვაქვს და არ ვიტყვი, მაინცდამაინც მსაჯმა წაგვაგებინა-მეთქი, მაგრამ რა ამბავი იყო ეს გაუთავებელი ჯარიმა, ჯარიმა, ჯარიმა... რატომ გააგდეს პავლე დათუნაიშვილი და რატომ არ ჩაგვითვალეს მეორე გოლი, ვერ ვხვდები.

*ლუის ცაკარიასი:* ლამის ყველა თამაშში ისე ხდება, რომ ჩვენვე ვუქმნით საკუთარ თავს პრობლემებს. მომენტებს უფრო კარგად უნდა ვიყენებდეთ. ველარც ვითვლი, რამდენი შანსი გავუშვით ხელიდან. დარჩენილ ტურებში მეორე ადგილისთვის ვიბრძოლებთ, ჩვენ ეს შეგვიძლია.

# ტორპედოს „დედა, რა გოლი!“ შეუძახეს

ქუთაისი. 18 მაისი. 17 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 19 600)

### ტორპედო 2:0 სიონი

1:0 ნერგაძე (33), 2:0 ბოლქვაძე (79)

**ტორპედო:** მერლანი, ლ. მერებაშვილი, ბაქრაძე, რაქვიაშვილი, ებრალიძე, რატი ბარაბაძე, ნერგაძე, რ. ჯიქია, ბოლქვაძე, მეგრელაძე (ნუნუნავა 81), სოსელია
*სათადარიგონი:* დ. ონიანი, ხატიაშვილი, გ. ახალაია, მ. ლონლაძე, ჯანჯალია
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**სიონი:** ბობღიაშვილი, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, ნადირაშვილი, ჩაჩუა (ნ. ლაბაძე 66), ბაჯელიძე (გიორგი შენგელია 62), გ. დოლიძე, ავალიანი, სვანიძე, დათვაძე, გოგოლაძე (ქარდავა 55)
*სათადარიგონი:* ასლანაძე; უგრეხელიძე
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**გაფრთხილება:** ჩაჩუა (14), მერებაშვილი (43), ნადირაშვილი (46), ბოლქვაძე (79), სვანიძე (90)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)

**ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე

**ნუკრი ლოლაძე** ქუთაისიდან

**ვინ იცის,** ბოლნისის „სიონმა“ ამ სეზონში მერამდენე ახალი მწვრთნელი დაინიშნა. ამჯერად გუნდი ქუთაისში ბოლნისელთათვის შეუცვლელად ქცეულმა გიორგი ყიფშიძემ ჩაიყვანა.

პირველმა ტაიმმა ძალიან უინტერესოდ ჩაიარა და საწყის ნახევარ საათში თითქმის არაფერი მომხდარა. მერე კი ტორპედოელთა ერთ იშვიათ შეტევას კუთხური მოჰყვა და მიხეილ სოსელიას ჩაწოდებული ბურთი გიორგი ნერგაძემ თავით გადაგზავნა მინდია ბობღიაშვილის კარში. ეს ამბავი მატჩის 33-ე წუთზე მოხდა.

ბოლნისელთა პასუხი კი ის იყო, რომ წუთშივე დავით დათვაძის ნაკუთხურალ ბურთს დავით გოგოლაძემ შეაგება თავი და „ტორპედო“ მირზა მერლანის შესაშურმა ნახტომმა იხსნა.

მეორე ტაიმში კი უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა. რევაზ ჯიქიას რამდენჯერმე შეეძლო სტუმრების დამწუხრება — ჯერ გია მეგრელაძის ჩაწოდებულს ვერ დაარტყა შედეგიანად, მოგვიანებით კი ბოლნისელები ხელოვნური თამაშგარის შექმნისას „გამოიჭირა“ და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ააცილა.

72-ე წუთზე ბოლნისელთა კუთხურს მოჰყვა ხიფათი: ირაკლი ვაშაკიძის დარტყმული მიზანს ოდნავ ასცდა. „სიონი“ ბევრს ცდილობდა, მაგრამ... ერთხელ სტუმართაგან საუკეთესომ, ზურაბ ავალიანმა ბურთი დაახლოებით ოცდაორი მეტრიდან გაისროლა და ძელს გაარტყა.

ქუთაისელმა გულშემატკივრებმა თავიანთ გუნდს შეუძახეს, რამაც მალევე გამოიღო შედეგი — დავით ბოლქვაძემ გოლი-შედევრი გაიტანა — ბრწყინვალე დრიბლინგის შემდეგ 25 მეტრიდან ბურთი კარის ცხოიანში ჩასვა.



დავით ბოლქვაძე

*ოთარ გაბელია:* ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები გვაკლდნენ: გამეზარდაშვილი, კომახიძე და მემარნიშვილი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისია. ისე კი, ძალიან კარგი თამაში იყო, რაც მეტი ახლო თი ბრძოლა იქნება ჩვენს ჩემპიონატში, მით უკეთესი.

*გიორგი ყიფშიძე:* გულწრფელად ვულოცავ „ტორპედოს“ გამარჯვებას, მართლაც კარგი თამაში გამოვიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 34 | 21 | 6 | 7 | 67:27 | 69 |
| ტორპედო | 34 | 19 | 10 | 5 | 54:27 | 67 |
| თბილისი | 34 | 20 | 6 | 8 | 56:36 | 66 |
| ლოკომოტივი | 34 | 16 | 14 | 4 | 40:19 | 62 |
| ზესტაფონი | 34 | 16 | 5 | 13 | 36:43 | 53 |
| ვიტ ჯორჯია | 34 | 12 | 9 | 13 | 50:38 | 45 |
| ბათუმი | 34 | 8 | 12 | 14 | 32:30 | 36 |
| სიონი | 34 | 10 | 4 | 20 | 30:56 | 34 |
| კოლხეთი | 34 | 9 | 5 | 20 | 32:56 | 32 |
| დილა | 34 | 2 | 3 | 29 | 20:85 | 9 |

ფოთი. 18 მაისი. 17 საათი. ფაზისი

### კოლხეთი 6:2 დილა

1:0 თაყაძე (2), 2:0 აკობია (26), 2:1 სულთანიშვილი (29პ), 3:1 ტყებუჩავა (30), 4:1 მიკუჩაძე (55), 4:2 აკობია (62ს.კ.), 5:2 აკობია (67), 6:2 ნარსია (78)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** გ. სორდია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
34 ტური

# არიქა, ზირაქა
## ჭკვიანმა წააფხანა, ყოჩაღმა გაიტანა

ლანჩხუთი. 18 მაისი. 17 საათი. ევგრაფი შევარდნაძე. 400 (ტევადობა 22 000)

### ზესტაფონი 2:0 ბათუმი

1:0, 2:0 ზირაქიშვილი (42, 44)

ზესტაფონი: ქვაჩახია, ჩიკვილაძე, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, ძამსაშვილი, განუგრავა (სულაკაძე 77), გ. თურმანიძე, კ. ჩხეტიანი, იმედაძე (კვერნაძე 56), ზირაქიშვილი (გუჩუა 72), იონანიძე
სათადარიგონი: სომხიშვილი; ბ. გოცირიძე, ბ. ნოზაძე, შავგულიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ბათუმი: თოთლაძე, გალოგრე, გოგიშვილი, დუმბაძე, ჯინჭარაძე (მეტრეველი 30), ი. მახარაძე, ცანავა (გ. მანწკავა 60), ლ. ხმალაძე, პ. ჩოხელი, ღლონტი, ხომერიკი (დარჩიძე 55)
სათადარიგონი: ბეგლარ თედორაძე, ჯანელიძე, რამიშვილი
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ძამსაშვილი (30)

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი)

ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

**გოჩა ჯანაშია** ლანჩხუთიდან

უმაღლეს ლიგას მონატრებულ „ევგრაფი შევარდნაძეზე“ მასპინძლობა გამარჯვებით დაიმშვენა „ზესტაფონმა“. მორიგი სამი ქულით მან საჩემპიონატო ამბიცია ბევრით ვერაფრით აიმაღლა, მაგრამ სათასო ფინალისთვის განწყობა მცირედით მაინც გაიუმჯობესა.

იგივეს ვერ ვიტყვით „ბათუმზე“, რომელსაც, ლანჩხუთში რომ მოეგო, თავი ქუდში ექნებოდა და დარჩენილ ტურებში სანერვიულოც აღარაფერი დარჩებოდა. ახლა კი 22 მაისის ზღვისპირულ დერბის ინტრიგა შეემატა და ისედაც მძიმე დღეში მყოფ „კოლხეთის“ გულშემატკივრებს... გუშინდელი ეს შედეგი ნამდვილად არ ესიამოვნებოდა.

როგორც მასპინძელს „შეეფერება“, იმერულმა კლუბმა უცხო მინდორს უფრო მალე აუღო ალღო და თავდასხმაც მეტოქეზე უკეთ ათამაშდა. თუმცა ეს უპირატესობა საკმარისი არ ჩანდა გოლის გასატანად. ასე თუ ისე საგოლე შანსი გოლებამდე სამჯერ მიეცა ზურაბ იონანიძეს. ჯერ დებიუტში, როცა ზაზა ზირაქიშვილის ფლანგურ პასს ფეხი უხეიროდ დაუხვედრა, მერე იმავ მარჯვენა ფლანგიდან გიორგი თურმანიძის ჩაწოდებულს დაუხვედრა თავი, მაგრამ აქაც უზუსტოდ.

ორიოდ წუთში ირაკლი თოთლაძემ არ დაანება „იონას“ გატანა — საჯარიმოს გარეთ ვარდნით აacala ბურთი იმერელ მოიერიშეს.

ამასობაში ამირან გოგიტიძემ შუა ხაზს დავით ჯინჭარაძე მოაკლო და წინ ეულად მოქმედ ლევან ხომერიკს კოტე მეტრეველი შეაშველა. ამ დუეტმა მალე კი შეგვახსენა თავი, როცა ხომერიკის დაგორებულზე მეტრეველმა უხეიროდ დაარტყა ზესტაფონელთა კარში, მაგრამ მერე ამათი ცდა ყოვლად უშედეგო ჩანდა. სამაგიეროდ, ტაიმის ბოლო წუთებში ზირაქიშვილის ჯერი დადგა და მან სამ წუთში ორი გოლით გაიხარა — ჯერ თურმანიძემ კუთხური ჩააწოდა, ახლო ძელთან გიორგი განუგრავამ ბურთს თავი წააფხანა, შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა „ზირაქამ“ კი მშვიდად გაიტანა. მეორე გოლში ლომის წილი იონანიძემ დაიდო, მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და მეკარესთან პირისპირ შერჩენილმა ძლიერადაც დაარტყა. თოთლაძემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ ზირაქიშვილის დამატებულს ვერაფერი მოუხერხა — 2:0.

მეორე ტაიმში გოგიტიძემ რატომღაც სათადარიგოებში გამწესებულ ვიტალი დარჩიძეს და გიორგი მანწკავას უხმო მოედანზე, მაგრამ ამათ გამოჩენას გარდატეხის შეტანა ველარ შეეძლო. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველ ტაიმშივე გადაწყდა და „ზესტაფონმა“ ძალების ზედმეტი დაძაბვის გარეშე, მშვიდად ჩაამთავრა მატჩი და მეტოქეს ერთი ხეირიანი საგოლე შანსიც კი არ შეაქმნევინა.

მოკლედ, არ გამართლდა მათი პროგნოზები, ვინც ფიქრობდა, „ზესტაფონი“ ამ შეხვედრას უბრძოლველად დათმობსო. „ბათუმს“ კვირას შინაურ კედლებში ფრეც აძლევს ხელს „კოლხეთთან“, მაგრამ ასეთი თამაშით ამ შედეგის მიღწევაც ძნელი საქმე იქნება.



ზაზა ზირაქიშვილის ორმა გოლმა „ბათუმს“ საუმაღლესლიგო საქმე გაურთულა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალკმაარმა არველაძეს ორწლიანი შესთავაზა

32 წლის შოთა არველაძე, ვისაც „რეინჯერსთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დამთავრებისთანავე ეწურება, გუშინ ჰოლანდიაში გახლდათ და იქაურ „ალკმაართან“ მოლაპარაკება გამართა. შოთას გუშინვე შევეხმიანეთ ალკმაარში და შეხვედრის ავანჩავანი გამოვკითხეთ...

— „ალკმაარის“ წარმომადგენლებს ვესაუბრე და მათგან კონკრეტული შემოთავაზებაც მივიღე — ორწლიანი კონტრაქტი.

— მერედა, ასეთ შეთავაზებაზე რა უპასუხე?

— ვუთხარი, უნდა მოვიფიქრო-მეთქი, „ალკმაარს“ პასუხს ათ დღეში ან ორ კვირაში ვეტყვი.

— „ალკმაარს“ მომდევნო სეზონიდან ლუის ვან გაალი გაწვრთნის, ვისი ინიციატივითაც გაიმართა კიდეც მოლაპარაკება შენსა და „ალკმაარს“ შორის — ვან გაალი ამ შეხვედრას არ ესწრებოდა?

— არა, მაგრამ მის მენეჯერს ვესაუბრე.

— „ალკმაარში“ ახალი გუნდის გაკეთება სურთ?

— როგორც მითხრეს, არა. მხოლოდ მწვრთნელი შეიცვლება, თორემ გუნდის ბირთვი შენარჩუნდებაო.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა
რუსთავი — ამერი
19 მაისს 17 საათიდან
ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე
www.fcameri.ge

# თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან

თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

# ძმობილო გამორთე, მობილი კოულს თუ დაუმტკიცდა



ეშლი კოული

„არსენალის" მცველ ეშლი კოულს თითქოს ის არ ეყოფოდა, რომ ძალას იკრებს იმ სკანდალის გამოძიება, მისი და „ჩელსის" თავკაცების საიდუმლო შეხვედრას რომ ეხება.

გუშინ კოული საჭესთან მობილურით ლაპარაკისთვის 30 გირვანქით დააჯარიმეს. ეს პატარა უსიამოვნება, არაფერია. თუ შემოწმებით მოლაპარაკების საქმე დამტკიცდა, ეებ „ჩელსის" სატრანსფერო ფანჯარაც დაუხურონ. ასეთი სასჯელი მოუგონია ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს.

საგანგებო კომისიას, „მარბელ არჩში" რომ ზის, უკვე მისცეს ჩვენებები ჟოზე მაურინიუმ და „ჩელსის" შეფმა პიტერ კინიონმა, ასევე, კოულის აგენტმა ჯონათან ბარნეტმა.

სწორედ ეს სამი კაცი შეიკრიბა კოულთან ერთად იანვარში, „ლონდონ ჰოტელში", რათა „არსენალის" გვერდის ავლით განეხილა ეშლი კოულის „ჩელსიში" შესაძლო გადასვლა.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ „ჩელსი" შეხვედრის მოწყობის ინიციატივას ბარნეტს აკისრებს.

**ირაკლი გამყრელიძე**



კარლო ანჩელოტიმ „ლივერპული" შეაქო

*რა არის „მილანის" მთავარი პრობლემა ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე ექვსი დღით ადრე? ამბობენ, რომ ეს არის გადაღლა, მაგრამ „შავ-წითლების" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი სხვა აზრისაა:*

# სტამბოლში სტამბოლის კაჟივით

## დაცვა ნაკლი კი არა, ფეხბურთის ნაწილია

„დიახ, ბოლო პერიოდში მართლაც გვქონდა პრობლემები, მაგრამ ფინალამდე ჯერ დროა და ამ დროის განმავლობაში ჩვენ ასპროცენტიანი ფორმის აღდგენას შევძლებთ. საჭიროა დარჩენილ დღეებში შედარებით დაღლილი მოთამაშეები დავასვენოთ, ხოლო ზოგადად, გუნდში ფიზიკური მომზადების საკითხებზე გავამახვილოთ ყურადღება."

აღსანიშნავია, რომ სერია A-ს პარასკევისთვის გადმოტანილ შეხვედრაში „პალერმოს" წინააღმდეგ ანჩელოტი არ ათამაშებს ანდრეა პირლოს, კლარენს ზეედორფს, ანდრეი შევჩენკოსა და ჯენარო გატუზოს, ხოლო მასიმო ამბროზინიმ ბარძაყი იტკინა და 25 მაისს სტამბოლში, „ლივერპულთან" ისედაც ვერ ითამაშებს.

(ცნობისთვის, ამდენი წამყვანი ფეხბურთელის დასვენების გამო, პარასკევს „მილანმა" „პალერმოს" რომ ვერ მოუგოს, იტალიის ჩემპიონი ავტომატურად გახდება „იუვენტუსი", თუმცა „შავ-წითლებისთვის" იტალიის პირველობის თემა მნიშვნელოვანი ბუნებრივია, უკვე აღარ არის.

ანჩელოტი განაგრძობს: „ფეხბურთელებს ძალიან დიდ ენთუზიაზმს ვატყობ და ვხედავ, რომ ერთი სული აქვთ ლივერპულელებთან თამაშის დაწყებამდე, ეს კი ასეთი დელიკატური მატჩის წინ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბოლო სამ წელიწადში მეორე ფინალს ვთამაშობთ, ასეთ შედეგზე კი გუნდების უმეტესობა მხოლოდ თუ ოცნებობს."

შეგახსენებთ, რომ „შავ-წითლებმა" 2003 წელს თავიანთ ისტორიაში მეექვსე ჩემპიონთა თასი „იუვენტუსს" პენალტებით წაართვეს, თუმცა, დღეს ორი წლის წინანდელისგან განსხვავებული ვითარებაა.

„2003 წელს ჩვენი დღევანდელი გუნდი თავის პირველ ფინალს თამაშობდა, ახლა კი ზურგს უკან [illegible] დიდი გამოცდილება გვაქვს — განმარტა ანჩელოტიმ და [illegible] ლი ფინალის მწირ [illegible] მხარეზე დასმულ კითხვას [illegible] ხა — მართლაც, [illegible] ტაქტიკური ასპექტით [illegible] ლი, სადავლი მატჩი [illegible] დიდი ეჭვი მაქვს, რომ ახლაც [illegible] განმეორდება. ნამდვილად არ [illegible] კვირდება საქმე [illegible] რომ მიდგეს."

შემდეგ კი „მილანის" [illegible] მეტოქის მწვრთნელზე, [illegible] ნელ კოლეგა რაფაელ ბენიტესზე ჰკითხეს — ფაქტია, რომ [illegible] პულელთა ფინალისტობა [illegible] სის ტაქტიკური სასწაული [illegible] ლავთ.

„მგონი, „ლივერპულის" [illegible] ში დგომის პირველივე წელიწადს გუნდის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაყვანა ბრწყინვალე [illegible] — შეაქო ანჩელოტიმ კოლეგა — როდესაც ვიხსენებ, როგორ მოქმედებდა მისი ტაქტიკა [illegible] განმავლობაში, აღფრთოვანების გრძნობა მეუფლება. ის დაცვაზე ორიენტირებული მწვრთნელია, მაგრამ დაცვა ნაკლი კი არა, თამაშის ნაწილია. მერედა, სულაც არ მგონია, რომ „ლივერპული" [illegible] მხოლოდ დაცვაზე იფიქრებს, მან „ენფილდ როუდზე" „იუვე" შეუტია და ჩვენც შეგვიტევს."

და ბოლოს, მეტოქის [illegible] სახიფათო ფეხბურთელებზე:

„სტივენ ჯერარდი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველთაგანია და „ლივერპულის" თამაში ძალიან არის მასზე დამოკიდებული. სწრაფი და სხარტია მილან ბაროში, ხოლო ჯიბრილ სისე მასზე ლონიერია. ამ ორიდან რომელს ათამაშებს ბენიტესი? [illegible] ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს."

**პაპუნა კედია**

# ლიპის ფიქრები ნაკრებიდან ნაპოლიში

„სკუადრა აძურას" თავკაც მარჩელო ლიპის ეროვნული ნაკრებიდან წასვლის შემდეგ, რომელიმე პატარა კლუბის, განსაკუთრებით კი „ნაპოლის" დამოძღვრა ამოუჭრია გულში. შეგახსენებთ, რომ ნეაპოლურ გუნდს იგი 1993-94 წლების სეზონში წვრთნიდა.

„10 წელიწადს რომ „იუვენტუსში" გაატარებ, გიძნელდება სხვა გრანდში გადასვლა. ამას ყოველთვის ვამბობდი, რადგან ერთხელ უკვე გამოვცადე თავი „ინტერში". მომავალში მომცრო გუნდის გაწვრთნას სიამოვნებით დავთანხმდებოდი, მაგალითად, „სამპდორიას", „პალერმოს" ან „ნაპოლის" ჩავიბარებდი— აღნიშნა ტაქტიკოსმა.



მარჩელო ლიპის საკლუბო ფეხბურთი მოენატრა

მოგეხსენებათ, „ნაპოლი" ამჟამად სერია C-შია, მაგრამ გადასასვლელ პლეი ოფში მონაწილეობს და უკვე მომავალ სეზონში შეუძლია სერია B-ში დაბრუნება. ლიპი ოპტიმისტურად არის განწყობილი და ნეაპოლელებს წარმატებას უსურვებს: „ნაკრებში მუშაობას რომ მოვრჩები, მწვრთნელობას კიდევ გარკვეული დროით ვაპირებ და თუ „ნაპოლის" თავკაცების შანსი გამიჩნდა, მოხარული ვიქნები. აქვე უნდა ვთქვა, რომ ამჟამად გუნდს ედი რეიას სახით ძალიან კარგი დამრიგებელი ჰყავს. იმედია, იგი ნეაპოლელებს სერია A-ში, რაც შეიძლება, მალე დააბრუნებს".

აღსანიშნოა ისიც, რომ ცოტა ხნის წინ „სკუადრა აძურას" მთავარ მწვრთნელს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ნორვეგიასთან მატჩში თავდასხმის ხაზს როგორ დააკომპლექტებს, გამოიძახებს თუ არა ალესანდრო დელ პიეროსა და კრისტიანო ლუკარელის. ამაზე ლიპიმ ზოგადად უპასუხა, ყველას თანაბარი შანსი აქვს და დრო გვიჩვენებსო.

**გიორგი კაკაბაძე**

# ვან ბომელს ბარსელონა ჰყვარებია



**მორჩა,** ფაქტია — „პსვ ეინდჰოვენის" ნახევარმცველმა მარკ ვან ბომელმა „ბარსელონასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ფეხბურთელის კატალონიურ კლუბში გადასვლა ორი თვის წინ გადაწყდა, ახლა კი გარიგება ოფიციალურად შედგა. მარკ ვან ბომელს ბარსელონურ მედიას ივნისში, ჰოლანდიის ნაკრების ორი შესარჩევი მატჩის შემდეგ წარუდგენენ.

ერთი სიტყვით, შეტევის მოტრფიალე ესპანეთის ჩემპიონს კიდევ ერთი შემტევი ნახევარმცველი დაემატა, რომელსაც პსვ-ში გამართულ 169 შეხვედრაში 46 გოლი ჰქონდა გატანილი.

კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ განაცხადა: „მარკ ვარ ბომელს ძალიან სურდა ჩვენს გუნდში თამაში და ბარსელონას დარ ქალაქში ცხოვრება, სადაც სტუმართმოყვარე ხალხია".

პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ მზადაა, კონტრაქტები გაუგრძელოს ფრანკ რაიკარდს და რამდენიმე ფეხბურთელს: „ფრანკ რაიკარდს გარჯა უნდა დავუფასოთ და არც ფეხბურთელები გვავიწყდება, რომლებმაც ექვსწლიანი ლოდინის შემდეგ „ბარსელონა" ჩემპიონი გახადეს. ვიმედოვნებ, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი და რონალდინიო გუნდში კიდევ დიდხანს დარჩებიან, ჩემპიონობას კი მივაღწიეთ, მაგრამ ეს არ კმარა. ამბიციები გვაქვს და გვინდა, რაც შეიძლება, ბევრი ჯილდო მოვიგოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**



ფრანჩესკო ტოლდომ შესაძლოა, „ინტერი“ და იტალია დატოვოს

# მიდი-მოდი ინტერულად

*აპენინური პრესა კვლავაც დაინტერესებულია მილანის „ინტერით“. როგორც ჩანს, „ნეროაძურის“ რიგებში სერიოზული ცვლილებები მზადდება და კლუბი სატრანსფერო ბაზარზე კვლავ რამდენიმე სიურპრიზს შემოგვთავაზებს. მერამდენე წელია, „შავ-ლურჯების“ ხელმძღვანელობა სკუდეტოს მოსაგებად იქადნება, მაგრამ...*

**როგორც** ამბობენ, „ინტერის“ უფროსობა გუნდის სამი თავდამსხმელის — კრისტიან ვიერის, ხულიო რიკარდო კრუზისა და ალვარო რეკობას გასხვისებაზე ფიქრობს. ამ უკანასკნელს გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი ფაქტობრივად, არ აქვს. მილანელთა ურუგვაელმა ლეგიონერმა ამდენი წლის მანძილზე ვერაფრით ვერ მოახერხა სტაბილურად ათამაშება. მიუხედავად იმისა, რომ იგი მასიმო მორატის საყვარელ ფეხბურთელად რჩება, მაინც დიდი შანსია, „სან სირო“ დატოვოს. რეკობას გადაბირება ძალიან უნდათ „სამპდორიასა“ და „პალერმოს“, რაც შეეხება ვიერის, შეიძლება იგი თავის ყოფილ კლუბ მადრიდის „ატლეტიკოში“ აღმოჩნდეს. თანაც „ნეროაძურის“ ხელმძღვანელები „ბობოს“ ხელფასის შემცირებაზე ვერ უთანხმდებიან.

სანაცვლოდ მილანელები რამდენიმე ახალი ფეხბურთელით გაძლიერებას გეგმავენ: უკვე გაცნობეთ, რომ „ინტერი“ ანდერლეხტელ კრისტიან ვილჰელმსონსა და ლივერპულელ იონ არნე რიისეს უტრიალებს. ორივე ნახევარმცველია. ახლა კი მათი ახალი სამიზნეებიც გამოიკვეთა — „ლეჩეს“ სერბი ფორვარდი მირკო უჩინიჩი და „პსვ ეინდჰოვენის ბრაზილიელი მცველი ალექსი.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან „ინტერის“ კარს კვლავ გუნდის ყოფილი და „პარმას“ ამჟამინდელი გოლკიპერი სებასტიან ფრეი დაიცავს.

„შავ-ლურჯების“ ახლანდელი მეკარეები, ფრანჩესკო ტოლდო და ალბერტო ფონტანა გუნდის დატოვებას აპირებენ. ამ უკანასკნელს რობერტო მანჩინისთან კონფლიქტი აქვს და დიდი ხანია, მისი წასვლა გადაწყდა. 33 წლის ტოლდო კი ბოლო მომენტამდე ორჭოფობს, მაგრამ მაინც „ინტერიდან“ წასვლისკენ იხრება.

ესპანური პრესის ცნობით, ტოლდოს დამატება „ვილიარეალს“ უნდა, რადგანაც ხოსე მანუელ რეინა „ლივერპულში“ გადასვლას აპირებს. თანაც მანუელ პელეგრინის გუნდი სავარაუდოდ, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და ტოლდოს დარი გამოცდილი მეკარე ძალიან გამოადგება. თუმც „ვილიარეალს“ „ინტერის“ თანაქალაქელი „მილანის“ სათადარიგო გოლკიპერ კრისტიან აბიატისთვისაც დაუდგამს თვალი.

ბოლოს ისევ „ინტერიდან“ წამსვლელთა სავარაუდო სიას დავუბრუნდეთ. უკვე ცნობილია, რომ ფონტანასთან ერთად გუნდს ემრე და ედგარ დავიდსი გამოიცვლიან. გარდა ამისა, ლაპარაკია, კრისტიანო ძანეტის წასვლის შესახებაც. ნახევარდაცვის გაძლიერება კი ჯერჯერობით „ვალენსიაში“ მყოფი სტეფანო ფიორეთი იგეგმება.

**გიორგი ძაძამიძე**

# ეტოოს დაიბარეს

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ სამუელ ეტოოს საქმის გამოძიება დაიწყო. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ საჩემპიონო ზეიმისას, „კამპ ნოუზე“, კამერუნელმა ფორვარდმა მიკროფონში იღრიალა, მადრიდელო ნაბიჭვრებო, ნამდვილ ჩემპიონებს მიესალმეთო. ეს ექვსჯერ გაიმეორა.

ეტოოს ბოღმა გასაგებია. თავად იყო ყმაწვილკაცობაში მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი, მაგრამ „მალიორკაში“ განათხოვრებული. ის „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, შარშან კი „ბარსელონაში“ გადავიდა და პირველივე სეზონში გატანილი 25 გოლით „ბარსას“ ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო.

კამერუნელმა მეორე დღეს საჯაროდ მოიბოდიშა, ეიფორიაში ვიყავი, „რეალის“ შეურაცხყოფა არც მიფიქრია, ალბათ, მაპატიებენო. „სამეფო კლუბის“ ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ მისი ბოდიში მისაღებად ჩათვალა, მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ალფრედო ფლორესმა განაცხადა, რომ ინციდენტის გამოძიებას დაუყოვნებლივ დაიწყებენ და შეურაცხმყოფელს აუცილებლად დაიბარებენ, რათა პასუხი საკადრისად აგოს.



სამუელ ეტოოს „რეალის“ შეურაცხოფისთვის პასუხს მოსთხოვენ

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვალენსიამ კამაჩო მოიკითხა

**მომავალი** სეზონიდან „ვალენსია“ ეგებ ხოსე ანტონიო კამაჩომ ჩაიბაროს. ესპანურ კლუბს რამდენიმე დღეში ახალი სპორტული დირექტორი ეყოლება, ხავიერ სუბირატსი, რომელმაც გადაწყვიტა, კამაჩოს მოელაპარაკოს. „ვალენსიას“ დირექტორი და პრეზიდენტი ხუან სოლერმა ამბობს, ხოსე ანტონიო კამაჩო ჩვენთვის ყველაზე სასურველი კანდიდატია, პრიმერადივიზიონს კარგად იცნობს და სათანადო გამოცდილებაც აქვსო.

მოგეხსენებათ, „ვალენსიას“ ამ სეზონის დასაწყისში „ჩელსიდან“ წამოსული კლაუდიო რანიერი წვრთნიდა, მაგრამ იტალიელი ფეხბურთელებით „გამდიდრებული“ გუნდი ვერააწყო, რისთვისაც თანამდებობა დაატოვებინეს. მისმა შემცვლელმა ანტონიო ლოპესმა კი ვითარება ოდნავ გამოასწორა. „ვალენსია“ ამჟამად პრიმერას ცხრილში მეშვიდე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის ძალიან მცირე შანსი აქვს. ხოსე ანტონიო კამაჩოს გარდა ვალენსიელები ხავიერ ირურეტასა („დეპორტივო“) და ხოაკინ კაპაროსის („სევილია“) ვარიანტებსაც განიხილავენ.



**ვაჟა ხუციშვილი**

# დუდეკს კუიტი უთხრეს
## ბენიტესის ესპანური გეგმები

**პოლონეთის** ნაკრების მეკარე ირჟი დუდეკი „ლივერპულიდან“ „ფეიენოორდში“ დაბრუნებას აპირებს, სადაც ინგლისში გადასვლამდე თამაშობდა. სანაცვლოდ, ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა შესაძლოა, ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი დირკ კუიტი წაიყვანოს.

ირჟი დუდეკმა როტერდამში წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიტყო, რომ „ვილიარეალის“ მეკარე ხოსე მანუელ რეინა „ლივერპულში“ გადადის. რაფაელ ბენიტესს თავის გუნდში რეინას ხილვა ძალიან სდომებია და ეს ტრანსფერი ალბათ, მალე გაიჩარხება. თუ ვილიარეალელი „ლივერპულში“ აღმოჩნდა, პრემიერლიგის კლუბს ოთხი მეკარე დაუგროვდება, რადგან იქ უკვე არიან დუდეკი, კირკლანდი და კარსონი. პოლონელის აზრით, ამ შემთხვევაში იგი ძირითად შემადგენლობაში ვეღარ მოხვდება და ურჩევნია, „ფეიენოორდში“ ითამაშოს, რომელსაც ორი წლის წინ, ედვინ ზუტებირის წასვლის მერე პრობლემა ვერ მოუგვარებია.



ირჟი დუდეკი „ლივერპულიდან“ წასვლაზე ალაპარაკდა

რაფაელ ბენიტესის სატრანსფერო სიაში ხოსე რეინას გარდა კიდევ ორი ფეხბურთელია — ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ესპანელი მწვრთნელი საშუალო ხაზის ჩავა, რათა „სარაგოსას“ გაბრიელ მილიტო, თავის ყოფილ გუნდ „ვალენსიას“ კი მოჰამედ ლამინ სისოკო წაჰგვაროს.

**ვაჟა ხუციშვილი**



დიდიე დროგბა

# მსხვერპლი

## დროგბას ჩელსის ფეხბურთი უკვირს

**დიდიე დროგბა** „ჩელსიდან“ წასვლაზე ალაპარაკდა, გუნდის სათამაშო ყაიდა არ მოჰწონს და ლონდონსაც ვერ შეეგუეო.

კოტდივუარელმა ფორვარდმა წლეულს, 39 მატჩში 16 გოლი გაიტანა, პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა და ინგლისის ლიგის თასიც მოიგო, მაგრამ ამის მიუხედავად, ალიარა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ბედნიერი არ ვყოფილვარო.

„ინგლისში ცხოვრება იოლი არ არის, ადაპტაციისთვის დროა საჭირო, მე კი აქ ძალიან გამიჭირდა“ — ამბობს დროგბა.

27 წლის მეგოლეს გულზე არც „ჩელსის“ ფეხბურთი ეხატება: „გუნდის ტაქტიკაზე მთელი სეზონის განმავლობაში აუგი არ დამცდენია, თავს ვიკავებდი. განსაკუთრებით ჩემპიონატის მეორე ეტაპზე არ მომწონდა „ჩელსის“ თამაში. წინ მარტო ვიყავი და გრძელ პასებს მაწვდიდნენ. მე კი ისეთი ფეხბურთი მიყვარს, როცა ბურთს ათამაშებენ“.

ჟოზე მაურინიუმ ტაქტიკა მას შემდეგ შეცვალა, რაც დემიენ დაფი და არიენ რობენი დაუშავდა. დიდიე დროგბა ეულად დარჩა და დიდი ჯაფა დაადგა: „მე წინ მარტო ვშრომობდი, ფრენკ ლამპარდმა და ჯო კოულმა კი გაიბრწყინეს. გუნდისთვის თავი გავწირე“.

მოგეხსენებათ, „ჩელსის“ მილანის „ინტერიდან“ ადრიანოს გადაბირება სურს, დროგბას კი ბრაზილიელ ფორვარდთან წყვილში თამაში ვერ წარმოუდგენია. „ადრიანოს გადმოყვანის შესახებ გაზეთით შევიტყვე და არა მგონია, ჩვენ ერთად 4-4-2 სქემას მოვერგოთ. ამ სეზონში ჟოზე მაურინიუმ ეს სქემა რამდენჯერმე გამოიყენა, როცა ეიდურ გუდიონსენი და მე ერთად ვიყავით შეტევაში, მაგრამ არაეფექტური აღმოჩნდა. მაურინიუ ერთი ფორვარდით თამაშს ამჯობინებს. ადრიანო ან სხვა მეგოლე რომ მოვიდეს, თავად ნახავთ, ამ საქმიდან რაც გამოვა. მეეჭვება, მან ისევე შეძლოს შეტევაც და დაცვაში გუნდის დახმარებაც, როგორც ამას ამჟამინდელი ჩელსელები აკეთებენ. გულწრფელად გეუბნებით, ასე რომ მოხდეს, ძალიან გამიკვირდება“.

„მარსელის“ პატრონი რობერ-ლუი დრეიფუსი და სპორტული დირექტორი ჟოზე ანიგო რამდენიმე კვირის წინ ლონდონში დიდიე დროგბას ესტუმრნენ...

**ვაჟა ხუციშვილი**

# იურგენ კლინსმანი კონფედერაციისთვის ემზადება



სებასტიან დაისლერი ნაკრებში დაბრუნდა

**იურგენ კლინსმანმა** გერმანიის ნაკრების 23-კაციან შემადგენლობაში მიუნხენის „ბაიერნიდან“ სებასტიან დაისლერი, „ლივერპულიდან“ კი დიტმარ ჰამანი შეიყვანა. გეცოდინებათ, ბუნდესნაკრები ივნისში, კონფედერაციის თასზე იიამაშებს, რომელიც მათ სამშობლოში გაიმართება.

სებასტიან დაისლერს ნაკრებში ბოლოს გასული წლის ოქტომბერში უხმეს, როცა გერმანელებმა ამხანაგურ მატჩში ირანს 2:0 მოუგეს. ოქტომბერშივე, ფეხბურთელი ავად გახდა და ტურინიდან (სადაც მიუნხენის „ბაიერნი“ „იუვენტუსს უნდა შეხვედროდა) შინ დაბრუნდა სამკურნალოდ. მას შემდეგ იგი „ბაიერნის“ ძირითადი შემადგენლობიდანაც ამოვარდა და მხოლოდ სეზონის ბოლოს დაბრუნდა.

დიტმარ ჰამანმა ბოლო სანაკრებო მატჩი ევრო 2004-ე ჩეხეთის წინააღმდეგ ითამაშა. ამის მერე იურგენ კლინსმანს ის აღარ გამოუძახია, თუმც „ჩელსისთან“ ჩემპიონთა თასის მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში ჰამანი ყოჩაღად გამოიყურებოდა და გერმანიის ნაკრების მწვრთნელს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

დაისლერისა და ჰამანის გარდა ეროვნულ გუნდში „შალკედან“ 21 წლის მაიკ ჰანკეც მიიწვიეს, რომლის სანაკრებო დებიუტიც კონფედერაციის თასზე შედგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟერომი ძმობაში არ ჩაიჭრა მითხარი და გეტყვი

**„ლიონის“** პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა პოლ ლე გუენის შემცვლელს ეძებს. იგი ამჯერად „ლილის“ თავკაც კლოდ პუელს მიადგა, თქვენ თუ იტყვით, რომ „ლიონის“ მწვრთნელობა გსურთ, მე საპასუხო ნაბიჯს გადავდგამო.

ჟან-მიშელ ოლა პუელს თვითონ ვერ სთავაზობს მწვრთნელობას, რადგან „ლილის“ პრეზიდენტ მიშელ სეიდუს ძმა ჟერომი „ლიონის“ ერთ-ერთი აქციონერია. „ჟერომი უხერხულ ვითარებაში აღმოჩნდა და შეთავაზებისგან თავს ამიტომ ვიკავებ — განაცხადა ოლამ — მთხოვა, ამას ნუ გააკეთებო. მეც დავყაბულდი, მაგრამ კლოდ პუელი „ლიონის“ თავკაცობის სურვილს თუ გაამხელს, მზად ვარ, მოლაპარაკება დავიწყო“.

ფრანგული მედიის ცნობით, ლიონელები „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილ მწვრთნელ კარლოს ბიანკისაც დაუკავშირდნენ, რომელიც ამჟამად თავისუფალია, თუმც არგენტინელმა ცნობა უარყო, ჩემთან არავის უსაუბრიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ლიონი“ სამსახურს კლოდ პუელსაც სთავაზობს

# მილანმა ხელი ოდოსაც დაადო



მასიმო ოდო

**ამბობენ,** „მილანი“ თითქმის [illegible] რომის „ლაციოს“ მასიმო ოდოს [illegible] და იტალიის ნაკრების მცველი [illegible] ზონიდან „როსონერის“ [illegible] — „სან სიროს“ ბინადრები ოდოს [illegible] კაფუს ალტერნატივად მოიაზრებენ.

ბრაზილიელი მცველის შემცვლელად მილანელები კიდევ სამ კანდიდატს [illegible] ვენ — ლეჩელ მარკო კასეტის, [illegible] ნიელე ბონერასა და [illegible] კო მესტოს. ამბობენ, მარტო [illegible] კარლო ანჩელოტის გუნდში [illegible] თქმის გადაწყვეტილიაო.

„ლაციო“ კი ოდოში [illegible] მილიონ ევროს ითხოვს. საკმაოდ [illegible] მცველს „მილანის“ გარდა „[illegible]“ და „ინტერიც“ ეპატიჟება, თავად [illegible] ლის პოზიცია კი ჯერჯერობით [illegible]

აქვე გავიხსენოთ ისიც, რომ [illegible] პროფესიული კარიერა სწორედ „[illegible]“ დაიწყო.

**გიორგი კაკაბაძე**

# ტრაპი ლაციოს ტრაპთან

**ცოტა ხნის** წინ გაუწყეთ, ჯოვანი ტრაპატონის იტალიაში დაბრუნების სურვილი აქვს და მისით რომის „ლაციოა“ დაინტერესებულიო. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება და დიდი შანსია, სეზონის ბოლოს დონ ტრაპმა დედაქალაქელთა თავკაცის პოსტზე ჯუზეპე პაპადოპულო შეცვალოს. „ბანკოჩელესტეს“ ხელმძღვანელობა ამ უკანასკნელის მუშაობით უკმაყოფილოა.

ამბობენ, „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო მზადაა, ტრაპატონის სამწლიანი კონტრაქტი და სეზონში 580 [illegible] ევრო შესთავაზოსო. რომაული [illegible] წარმომადგენლებს ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ და არც გამოცდილი სპეციალისტის პოზიციაა ცნობილი.

ერთადერთი პრობლემა, რამაც შეიძლება ამ შეთანხმებას ხელი შეუშალოს, ტრაპატონისა და „ლაციოს“ სიმბოლოს, პაოლო დი კანიოს შორის ცუდი ურთიერთობაა — მათ [illegible] ნეთი „იუვენტუსში“ ყოფნისას [illegible]

**გიორგი კაკაბაძე**



ჯოვანი ტრაპატონის „ლაციო“ ეპატიჟება

# ფრანგი, რომელიც მამაც გულებს ეძებს
## ალენ პერენი არსენ ვენგერი არ არის

*ინგლისური ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ პრემიერლიგის „პორტსმუთს“ ფრანგი მწვრთნელი ჰყავს — ალენ პერენი, მაგრამ იქნებ ბევრმა მათგანმა არ იცოდეს, ვინ არის და რა კაცია იგი. ამიტომ დღეს მასთან ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ და ვფიქრობთ ამით „სარბიელის“ მკითხველთა ნაწილის ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებთ*



— თქვენი „პორტსმუთის“ მწვრთნელად დანიშვნა ძალიან მოულოდნელი და უცნაური გახლდათ...

— ჩემთვის კი ეს დიდი სიურპრიზი ნამდვილად არ ყოფილა. „პორტსმუთის“ თავმჯდომარეს, გუნდის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად სჭირდებოდა გარკვეული მონაცემების ადამიანი. მან გაიკითხ-გამოიკითხა და აღმოაჩინა, რომ მისთვის საჭირო მონაცემები ყველაზე მეტად მე მქონდა, ეს არის და ეს.

მესმის, უცხოეთში რატომ უნდა წავსულიყავი, როდესაც საკუთრივ ინგლისშია ძალიან ბევრი კარგი სპეციალისტი, მაგრამ ვფიქრობ იმ პერიოდში, როდესაც „პორტსმუთი“ მწვრთნელს ეძებდა, ისინი უბრალოდ დაკავებულები იყვნენ. ერთი სიტყვით, თავმჯდომარემ გაიგო ჩემი ფრანგული მოღვაწეობის ამბავი, თუ რა შედეგებს მივაღწიე „ტრუასა“ და „მარსელში“ და შესაბამისი ნაბიჯიც გადადგა.

**— ალბათ, ინგლისელ გულშემატკივართა ნაწილი მათ ქვეყანაში კიდევ ერთი უცხოელის გამოჩენამ გააღიზიანა კიდეც...**

— ჩემთვის ეს გაღიზიანება გასაგებია, მაგრამ საკითხს შეგვიძლია მეორე მხრიდანაც შევხედოთ: ინგლისურ კლუბებში ძალიან ბევრი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს და სრულებით ლოგიკურია, რომ ზოგ შემთხვევებში მათ ხელმძღვანელად შესაძლოა, არაინგლისელმა უფრო ივარგოს. სრულებით არ მინდა თავი არსენ ვენგერს, ჟოზე მაურინიუს და რაფაელ ბენიტესს შევადარო — მე მე ვარ და ვიმედოვნებ, რომ ამ სამი უცხოელი მწვრთნელის მსგავსად წარმატებებს მეც მივაღწევ.

აქაური სტრუქტურა იმდენად კონტინენტურია, რომ ვფიქრობ ჩემზე უკეთ ვერცერთი ინგლისელი მწვრთნელი ვერ მოერგებოდა. თან, პორტსმუთული წესის თანახმად, მე პირველ გუნდთან მუშაობის გარდა ველიმირ ზაიეცთან ერთად ახალი ფეხბურთელების შერჩევა და აყვანაც შემიძლია.

**— რა ამბიცია გაქვთ, როგორც „პორტსმუთის“ მწვრთნელს?**

— პორტსმუთი დიდი ქალაქია, სადაც საუცხოო ფანები ცხოვრობენ და ამ ქალაქს ძლიერი გუნდი უნდა ჰყავდეს, ამიტომ ჩემი მიზანი კლუბის პოტენციალის გაზრდაა. ვფიქრობ გარკვეული დროის შემდეგ ჩვენ ამ პოტენციალს გავზრდით და „პორტსმუთი“ პრემიერლიგის ათეულის გუნდი გახდება. სტადიონის გაზრდისა და მოედნის განახლების პროექტი უკვე შედგენილია, ასე რომ, ჩვენ ამას გუნდის გაძლიერების პროექტიც უნდა მივაყოლოთ. ვიმეორებ, კლუბის თავმჯდომარეს სურს პირველ ეტაპზე გუნდი ზედა ათეულის მუდმივ ბინადრად აქციოს და ჩვენ ამ მიზანს მივაღწევთ. ერთი სიტყვით, თუ გამარჯვების წყურვილით ანთებული ფეხბურთელები გვეყოლება, მერე ყველაფრის მიღწევა იქნება შესაძლებელი.

**— მართალია, რომ „საუთჰემპტონშიც“ გიწვევდნენ?**

— „საუთჰემპტონის“ თავმჯდომარემ მართლაც დამირეკა და მესაუბრა, მაგრამ მერე ამ ამბავს გაგრძელება აღარ ჰქონია და რომ გითხრათ, ამის გამო ვინერვიულე ან ღამეები არ მეძინაო, მართალი არ ვიქნები. „საუთჰემპტონი“ დიდ და საინტერესო კონტრაქტს არ მთავაზობდა, ხოლო წარმოშობით საუთჰემპტონელი რომ არ ვარ, თავადაც მოგეხსენებათ. მოკლედ, „პორტსმუთში“ ვმუშაობ და გულსა და სულს ამ კლუბის საქმეში ვდებ. ისე კი ვინ იცის, „საუთჰემპტონს“ ჩემთან სერიოზული მოლაპარაკებები რომ გაემართა და მწვრთნელად ავეყვანე, იქნებ დღეს ისევ პრემიერლიგაში ყოფილიყო.

**— ამბობენ, რომ თქვენ უკვე მოახერხეთ პორტსმუთელ მოთამაშეებზე გავლენის მოხდენა...**

— ვცდილობ, საქმეს ყოველთვის პასუხისმგებლობით მოვეკიდო. არ მიმაჩნია, რომ დიდ გმირობას ჩავდივარ და რევოლუციურ ცვლილებებს ვახდენ. მე, უბრალოდ პატიოსნად ვაკეთებ იმას, რაშიც ფულს მიხდიან, ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენას ვუნერგავ და ვცდილობ შედეგებს მივაღწიო. მოთამაშეებს ჩემგან იმის დანახვა სურთ, რომ გადაწყვეტილებების მიღების არ მეშინია და მზად ვარ მათ უკეთ თამაშში ხელი შევუწყო. მათ სურთ თამაშის დროსაც ჰქონდეთ ჩემი მხარდაჭერის შეგრძნება, ამიტომ ვცდილობ გამუდმებით მქონდეს მათთან კონტაქტი. როცა გამარჯვება გსურს, ბიჭებს მხნეობის მაგალითი უნდა მისცე.

**— მოკლედ, „პორტსმუთში“ ფრანგულ რევოლუციას არ გეგმავთ?**

— საფრანგეთში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი მეგულება, თან ხშირად მათი ფასი ინგლისელებისაზე დაბალია, რის გამოც კლუბისთვის მათი ყიდვა უფრო მომგებიანია, მაგრამ მეორე მხრივ, ბალანსის დაცვაც აუცილებელია. მოკლედ რომ გითხრათ, ფრანგების ყიდვას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვიცნობ, არ ვაპირებ. მე გავაკეთებ იმას, რაც „პორტსმუთისთვის“ მომგებიანი იქნება. კი ბატონო, საფრანგეთში ბევრი ტექნიკური მოთამაშე მეგულება, მაგრამ ტექნიკა ყველაფრის წამალი როდია. გამარჯვებისთვის ხშირად გული და თავდადება უფრო მნიშვნელოვანია. გნებავთ დამიჯერეთ, გნებავთ ნუ დამიჯერებთ, მაგრამ თავდადების და გულითადობის გამო სკანდინავიელი ფეხბურთელები მიყვარს. „პორტსმუთს“ ინგლისური სული უნდა ედგას და არა ფრანგული. მე აქ პორტსმუთელები მჭირდება, ფულისთვის მოყვანილი პრანჭიები კი არა. სერიოზულად უნდა შევისწავლო შოტლანდიური, ირლანდიური და უელსური რესურსები, მოკლედ მოთამაშეთა შეძენის მხრივ ღია ვარ.




**იტალიური** „ლეჩეს“ ფორვარდი აქსელ კონანი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კაკასთან უხეშობისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. აქვე გთავაზობთ იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებიც დისკვალიფიკაციის გამო სერია A-ს შემდეგ ტურს გამოტოვებენ: დაინელი (ფიორენტინა), მიხაილოვიჩი (ინტერი), მეგნი (ბოლონია), ალბერტო (სიენა), მოტა (ატალანტა), კარაჩოლო, დელ ნერო (ბრეშა), კონტი, აგოსტინი (კალიარი), პანუჩი, დაკური (რომა), მუნტარი და პიზარო (უდინეზე).

**ესპანური პრესის ცნობით, ლონდონის „ჩელსიმ“ თითქმის შეძლო „ბილბაოსთან“ ასიერ დელ ორნოს ტრანსფერზე შეთანხმება. როგორც ამბობენ, ინგლისელები დაახლოებით 17 მილიონ ევროს გადაიხდიან, ხოლო 24 წლის მცველს ოთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ.**

**ინგლისური** „მანჩესტერის“ ახალგაზრდა ნახევარმცველმა კიერან რიჩარდსონმა „ვესტ ბრომვიჩში“ გატარებული ნახევარი წლის შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე“ დაბრუნება გადაწყვიტა. 20 წლის ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ბრძოლას აპირებს. „რიჩარდსონი ძალიან დაგვეხმარა და გული დამწყდა, წასვლა რომ გადაწყვიტა, მაგრამ ეს მისი არჩევანია და კარგად მესმის“ — თქვა „ვესტ ბრომვიჩის“ თავკაცმა ბრაიან რობსონმა.

**იტალიური „უდინეზეს“ ერთ-ერთი ლიდერი დავიდ პიზარო გუნდს იმ შემთხვევაშიც დატოვებს, თუ უდინელები მეოთხე ადგილზე გავლენ. „ვიცი, რომ ხელმძღვანელობა ყველას შენარჩუნებას და პირიქით, შემადგენლობის გაძლიერებას ეცდება, თუმც დიდ გუნდში გადასვლის შანსი უკვე რამდენჯერმე გავუშვი ხელიდან და არ მინდა, იგივე განმეორდეს“ — განაცხადა ჩილელმა.**

**გერმანულ** „ბაიერნს“ გეგმები ფილიპ ლამის ტრავმის გამო შეეცვალა. მიუნხენელებმა გუნდის ფრანგ მცველ ბიქსენტ ლიზარაზუს კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. ლიზარაზუ „ბაიერნში“ კიდევ ერთ სეზონს გაატარებს.

**ინგლისის ნაკრებისა და „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი სამშობლოში დაბრუნებას არ ჩქარობს. არადა, მის ყოფილ გუნდ „მანჩესტერსა“ და „არსენალს“, ერთი სული აქვთ, ეს როდის მოხდება. ფეხბურთელის აგენტის თქმით, ბექემი „რეალში“ ძალიან ბედნიერია და წასვლას არ აპირებს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი „სამეფო კლუბის“ უფროსობასთან შეხვედრის მერე გაირკვევა.**

**იტალიის** ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, „ფიორენტინამ“ „რომას“, „ლაციოს“, „კიევოსა“ და „იუვენტუსს“ მიჰბაძა და პრესასთან ყოველგვარი ურთიერთობა შეწყვიტა. ფლორენციელები სერია A-დან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე დადგნენ და გუნდის უფროსობაც თავის გადაწყვეტილებას ამით ხსნის, სეზონის მშვიდად ჩამთავრება გვინდაო.

**გერმანულმა „ვერდერმა“ ჩეხური „ბრნოს“ ფეხბურთელ მარიან ჰადს დაადგა თვალი. 22 წლის სლოვენიელის თამაში უკვე ბრემენელთა მწვრთნელმა თომას შააფმაც ნახა. „ვერდერის“ სპორტულ დირექტორ კლაუს ალოფსის თქმით, მალე მხარეებს შორის მოლაპარაკება დაიწყება.**

**ესპანური** „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასმა უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს ახალი კონტრაქტის პირობებზე უკვე მოელაპარაკა უფროსობას. „პრესა დაუზუსტებელ ინფორმაციას ავრცელებს. გუნდში დარჩენა მართლაც მინდა, მაგრამ ჯერ არ შევთანხმებულვართ. იმედია, ყველაფერზე მალე მოვილაპარაკებთ“ — განაცხადა კასილიასმა.

**შოტლანდიური „სელტიკის“ ნახევარმცველი პოლ ლამბერტი მომავალი სეზონიდან „ლივინგსტონის“ მთავარ მწვრთნელად მოგვევლინება. 35 წლის ფეხბურთელი სეზონის ბოლოს სათამაშო კარიერას ასრულებს და მწვრთნელობას იწყებს. მან „ლივინგსტონთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**უკრაინულ** „დინამოს“ სერგეი რებროვის დაბრუნება უნდა. კიეველთა პრეზიდენტი იგორ სურკისი ფეხბურთელთან მოლაპარაკებას აწარმოებს. შეგახსენებთ, რომ რებროვი ამჟამად „ვესტ ჰემში“ ირიცხება, მაგრამ ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება.

**ინგლისის** ნაკრებისა და „საუთჰემპტონის“ ყოფილმა მცველმა გრემ ლე სომ კარიერა დაასრულა. ვეტერანმა ფეხბურთელმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც „წმინდანები“ პრემიერლიგიდან გავარდნენ. შეგახსენებთ, რომ მან კარიერის საუკეთესო წლები ლონდონის „ჩელსიში“ გაატარა.

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**მერვედფინალი. პირველი მატჩები**

**ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) 3:3 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

**LDU კიტო (ეკვადორი) 2:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | დერბი-პრესტონი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 15:05 | 5 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:15 | 6 | საუთენდი-ნორთჰემპტონი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 7 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 2.8 | 3.1 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.3 |
| 18:00 | 8 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 9 | ლივინგსტონი-დანდი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 10 | მოზერუელი-სელტიკი | 12.0 | 5.5 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.0 |
| 17:00 | 11 | აბერდინი-ჰართსი | 1.6 | 3.6 | 4.7 | 1.1 | 1.19 | 2.03 |
| 17:00 | 12 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 8.0 | 4.2 | 1.3 | 2.75 | 1.11 | 1.0 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 13 | არმინია-ვოლფსბურგი | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 17:30 | 14 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.3 | 4.8 | 8.0 | 1.02 | 1.11 | 3.0 |
| 17:30 | 15 | ფრაიბურგი-შალკე | 7.0 | 4.5 | 1.35 | 2.73 | 1.13 | 1.03 |
| 17:30 | 17 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.55 | 3.7 | 5.0 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 17:30 | 18 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.3 | 5.0 | 8.0 | 1.03 | 1.11 | 3.07 |
| 17:30 | 19 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 17:30 | 20 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.4 | 3.9 | 8.0 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| 17:30 | 21 | ნიურნბერგი-მაინცი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 17:30 | 22 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 23 | ალემანია-ფიურტი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 17:00 | 24 | დინამო-ერფურტი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 17:00 | 25 | აინტრახტი-ბურგჰაუზენი | 1.25 | 5.0 | 7.5 | 1.0 | 1.07 | 3.0 |
| 17:00 | 26 | კარლსრუე-კოტბუსი | 3.0 | 2.3 | 2.8 | 1.3 | 1.44 | 1.26 |
| 17:00 | 27 | კიოლნი-დუისბურგი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 17:00 | 28 | მიუნხენი 1860-ალენი | 1.45 | 5.0 | 4.2 | 1.12 | 1.07 | 2.28 |
| 17:00 | 29 | ობერჰაუზენი-აუე | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| 17:00 | 30 | ესენი-უნტერჰახინგი | 2.2 | 3.3 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.5 |
| 17:00 | 31 | ზაარბრიუკენი-ტრირი | 2.35 | 2.8 | 2.9 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 52 | აუსტრია-შტურმი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 20:30 | 53 | გრაცერი-ტიროლი | 1.3 | 4.2 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.75 |
| 20:30 | 54 | მატერსბურგი-ბრეგენცი | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 20:30 | 55 | პაშინგი-ადმირა | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 56 | ზალცბურგი-რაპიდი | 3.5 | 3.0 | 1.95 | 1.61 | 1.25 | 1.18 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 57 | აუსტრია(ლ)-რიდი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| 21:00 | 58 | გრატკორნი-უნტერზიბენბრიუნი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 21:00 | 59 | კაფენბერგი-ვიორგლი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 21:00 | 61 | ლინცერი-ალტახი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 60 | კერნტენი-ლეობენი | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 65 | ციურიხი-თუნი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | [illegible] |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 73 | იუვენტუსი-ლუცერნი | 2.1 | 3.2 | 2.95 | 1.26 | 1.22 | [illegible] |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 96 | მილანი-პალერმო | 2.15 | 2.3 | 4.1 | 1.11 | 1.41 | 1.47 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 89 | ატალანტა-რომა | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | [illegible] |
| 17:00 | 90 | ბრეშა-მესინა | 1.35 | 4.3 | 6.5 | 1.02 | 1.11 | [illegible] |
| 17:00 | 91 | კალიარი-უდინეზე | 3.6 | 3.1 | 1.9 | 1.66 | 1.24 | [illegible] |
| 17:00 | 92 | კიევო-ბოლონია | 2.1 | 2.8 | 3.6 | 1.2 | 1.32 | [illegible] |
| 17:00 | 93 | ლაციო-ფიორენტინა | 3.3 | 2.0 | 2.9 | 1.24 | 1.54 | [illegible] |
| 17:00 | 94 | ლივორნო-იუვენტუსი | 6.0 | 2.0 | 2.15 | 1.5 | 1.58 | [illegible] |
| 17:00 | 97 | პარმა-სიენა | 1.95 | 2.3 | 5.5 | 1.05 | 1.43 | 1.62 |
| 17:00 | 98 | რეჯინა-ლეჩე | 3.4 | 1.4 | 7.5 | 1.0 | 2.33 | [illegible] |
| 17:00 | 99 | სამპდორია-ინტერი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | [illegible] |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.5 | 3.9 | 5.4 | 1.08 | 1.17 | [illegible] |
| 23:45 | 121 | რეალი-ატლეტიკო | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | [illegible] |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 112 | ალბასეტე-სოსიედადი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | [illegible] |
| 21:00 | 113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.35 | 4.5 | 7.0 | 1.03 | 1.13 | [illegible] |
| 23:00 | 114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | [illegible] |
| 21:00 | 116 | ხეტაფე-სევილია | 3.9 | 3.4 | 1.8 | 1.81 | 1.23 | [illegible] |
| 21:00 | 117 | დეპორტივო-მალიორკა | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | [illegible] |
| 21:00 | 118 | ლევანტე-ვალენსია | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | [illegible] |
| 21:00 | 119 | მალაგა-რასინგი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | [illegible] |
| 21:00 | 120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | [illegible] |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 134 | ბასტია-ლანსი | 1.95 | 3.4 | 3.3 | 1.23 | 1.22 | [illegible] |
| 22:45 | 135 | ბორდო-მონაკო | 2.55 | 3.0 | 2.6 | 1.37 | 1.28 | [illegible] |
| 22:45 | 136 | ლილი-აიაჩო | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | [illegible] |
| 22:45 | 137 | მარსელი-ლიონი | 2.25 | 3.0 | 3.0 | 1.28 | 1.28 | [illegible] |
| 22:45 | 138 | მეცი-პსჟ | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | [illegible] |
| 22:45 | 139 | ნიცა-ოსერი | 2.4 | 3.0 | 2.75 | 1.33 | 1.28 | [illegible] |
| 22:45 | 140 | რენი-სტრასბური | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:45 | 141 | სოშო-ნანტი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 142 | სტ.ეტიენი-ისტრი | 1.4 | 4.0 | 6.8 | 1.03 | 1.16 | 2.51 |
| 22:45 | 143 | ტულუზი-კაენი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 145 | ბრესტი-ლორიანი | 1.9 | 2.9 | 3.9 | 1.14 | 1.27 | 1.66 |
| 22:30 | 146 | შატორუ-ტრუა | 2.5 | 2.9 | 2.6 | 1.34 | 1.27 | [illegible] |
| 22:30 | 147 | კრეტეი-ლავალი | 1.6 | 3.3 | 4.8 | 1.07 | 1.2 | [illegible] |
| 22:30 | 148 | გრენობლი-ნანსი | 2.6 | 2.7 | 2.8 | 1.32 | 1.34 | [illegible] |
| 22:30 | 149 | გენიონი-ნიორი | 1.8 | 3.0 | 4.2 | 1.12 | 1.25 | [illegible] |
| 22:30 | 150 | ლე ავრი-გენგამი | 1.6 | 3.3 | 4.8 | 1.07 | 1.2 | [illegible] |
| 22:30 | 151 | ლე მანი-ამიენი | 1.75 | 2.9 | 4.6 | 1.09 | 1.26 | [illegible] |
| 22:30 | 152 | მონპელიე-დიჟონი | 2.15 | 2.8 | 3.3 | 1.21 | 1.3 | [illegible] |
| 22:30 | 153 | რეიმსი-კლერმონი | 2.1 | 3.0 | 3.3 | 1.23 | 1.28 | [illegible] |
| 22:30 | 154 | სედანი-ანჟე | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | [illegible] |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 155 | სერკლი-გენკი | 3.8 | 3.6 | 1.7 | 1.84 | 1.17 | 1.15 |
| 22:00 | 156 | გენტი-ვესტერლო | 1.65 | 3.6 | 4.4 | 1.13 | 1.2 | 1.98 |
| 22:00 | 157 | ლიერსი-ლუვიე | 1.95 | 3.4 | 3.5 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| 22:00 | 158 | ბეერსხოტი-ბევერენი | 1.8 | 3.5 | 3.8 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 22:00 | 159 | სტ.ტრუიდენი-ბრიუგე | 4.0 | 3.5 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 22:00 | 160 | ოსტენდე-სტანდარდი | 5.0 | 4.4 | 1.45 | 2.34 | 1.12 | 1.09 |
| 22:00 | 161 | მუსკრონი-ბრიუსელი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 162 | ანდერლეხტი-მონსი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 163 | შარლერუა-ლოკერენი | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 463 | ანტვერპენი-რუხელარე | 2.05 | 3.2 | 3.1 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 22:30 | 464 | გეელი-ვაასლანდი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 164 | აიაქსი-გრონინგენი | 1.25 | 5.5 | 9.0 | 1.01 | 1.09 | 3.41 |
| 16:30 | 165 | აიაქსი-გრონინგენი0:1 | 1.45 | 4.0 | 3.6 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 16:30 | 166 | ალკმაარი-როხენდალი | 1.35 | 4.4 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 16:30 | 167 | ალკმაარი-როხენდალი 0:1 | 1.65 | 3.9 | 2.9 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 16:30 | 168 | გრააფსხაპი-ვიტესი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 16:30 | 169 | დენ ბოსხი-უტრეხტი | 1.85 | 3.5 | 3.6 | 1.21 | 1.22 | 1.77 |
| 16:30 | 170 | ფეიენოორდი-დენ ჰააგი | 1.3 | 4.9 | 8.5 | 1.02 | 1.12 | 3.1 |
| 16:30 | 171 | ფეიენოორდი-დენ ჰააგი 0:1 | 1.45 | 3.9 | 3.5 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 16:30 | 172 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1.55 | 3.7 | 5.2 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 16:30 | 173 | ბრედა-ტვენტე | 2.65 | 3.4 | 2.35 | 1.48 | 1.24 | 1.38 |
| 16:30 | 174 | როდა-პსვ | 3.5 | 3.4 | 1.9 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| 16:30 | 175 | ტილბურგი-ვალვაიკი | 2.0 | 3.4 | 3.3 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 185 | ბეირა მარი-გიმარაეში | 2.65 | 3.3 | 2.4 | 1.46 | 1.25 | 1.38 |
| 19:00 | 186 | ბელენენსეში-სეტუბალი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 22:15 | 187 | ბოავიშტა-ბენფიკა | 4.5 | 2.9 | 1.85 | 1.76 | 1.31 | 1.12 |
| 19:00 | 188 | ლეირია-რიუ ავე | 2.0 | 3.0 | 3.9 | 1.2 | 1.32 | 1.69 |
| 22:15 | 189 | მორეირენსე-ბრაგა | 3.1 | 3.3 | 2.1 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 190 | პენაფიელი-ჟილ ვისენტე | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 22:15 | 191 | პორტუ-აკადემიკა | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 22:15 | 192 | პორტუ-აკადემიკა 0:1 | 1.45 | 4.0 | 3.8 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 22:15 | 193 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.25 | 5.0 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.14 |
| 22:15 | 194 | სპორტინგი-ნასიონალი 0:1 | 1.5 | 4.3 | 3.2 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 19:00 | 195 | ეშტორილი-მარიტიმუ | 2.45 | 3.2 | 2.7 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 214 | მოსკოვი-ტომსკი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 15:00 | 215 | როსტოვი-დინამო | 2.8 | 3.0 | 2.4 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 15:00 | 216 | რუბინი-ტერეკი | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 15:00 | 217 | შინიკი-ზენიტი | 3.0 | 3.0 | 2.25 | 1.5 | 1.28 | 1.28 |
| 15:00 | 218 | სპარტაკი-ცსკა | 2.9 | 3.0 | 2.3 | 1.47 | 1.28 | 1.3 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 219 | ამკარი-ალანია | 1.8 | 3.1 | 4.3 | 1.13 | 1.26 | 1.8 |
| 15:00 | 220 | სატურნი-კრილია | 2.0 | 3.0 | 3.5 | 1.2 | 1.27 | 1.61 |
| 15:00 | 221 | ტორპედო-ლოკომოტივი | 2.85 | 3.1 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 222 | ამიკა-პოგონი | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 20:00 | 223 | კრაკოვია-კატოვიცე | 1.25 | 4.8 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.0 |
| 20:00 | 224 | გურნიკი-გროცლინი | 2.8 | 3.1 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.3 |
| 20:00 | 225 | ლეხი-ლეჩნა | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 20:00 | 227 | ოდრა-პოლონია | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 228 | ზაგლებე-პლოცკი | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 226 | ლეგია-ვისლა | 2.9 | 3.1 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 235 | დრნოვიცე-ბანიკი | 2.35 | 2.9 | 2.9 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 229 | ოპავა-სიგმა | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.21 |
| 19:00 | 230 | ბუდეიოვიცე-ზლინი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 16:25 | 231 | სლავია-ბლშანი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 22:00 | 232 | სლოვაცკო-პრჟიბრამი | 1.65 | 3.2 | 4.8 | 1.08 | [illegible] | 1.91 |
| 19:00 | 233 | ტეპლიცე-ლიბერეცი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 234 | იაბლონეცი-სპარტა | 3.3 | 3.0 | 2.1 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 19:00 | 236 | ბრნო-ბოლესლავი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 272 | ჰერფიოლგე-ნორდსიელანდი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 21:00 | 273 | ოლბორგი-ვიბორგი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:00 | 274 | ორჰუსი-რანდერსი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 21:00 | 275 | ესბიერგი-სილკებორგი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 21:00 | 276 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.65 | 3.4 | 4.9 | 1.11 | 1.23 | 2.0 |
| 22:00 | 277 | მიდტიულანდი-ბრიონდბიუ | 3.6 | 3.1 | 1.95 | 1.66 | 1.26 | 1.19 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 305 | ბოდიო გლიმტი-ალესუნდი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 20:00 | 306 | ლინი-ჰამარი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 20:00 | 307 | რუსენბორგი-მოლდე | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 20:00 | 308 | სტარტი-ბრანი | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 20:00 | 309 | ვიკინგი-ოდ გრენლანდი | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:05 | 310 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 2.6 | 3.1 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 311 | ფრედრიკსტადი-ტრომსიო | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 320 | ალტა-ტონსბერგი | 2.5 | 4.0 | 2.2 | 1.53 | 1.17 | 1.41 |
| 20:00 | 321 | ბრინი-მანდალი | 1.5 | 4.2 | 5.0 | 1.1 | 1.15 | 2.28 |
| 20:00 | 322 | ჰიონეფოსი-ჰიოდი | 2.1 | 4.0 | 2.6 | 1.37 | 1.16 | 1.57 |
| 20:00 | 323 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 2.35 | 3.9 | 2.35 | 1.46 | 1.17 | 1.46 |
| 20:00 | 324 | მოსი-სტრიომსგოდსეტი | 2.0 | 3.9 | 2.8 | 1.32 | 1.16 | 1.62 |
| 20:00 | 325 | პორს გრენლანდი-კონგსვინგერი | 2.35 | 3.9 | 2.3 | 1.46 | 1.16 | 1.44 |
| 20:00 | 326 | სანდეფიორდი-ფოლო | 1.25 | 5.5 | 7.5 | 1.01 | 1.07 | 3.17 |
| 20:00 | 327 | სტაბეკი-სოგნდალი | 2.1 | 3.6 | 2.85 | 1.32 | 1.2 | 1.59 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 356 | ჰიკ-ტურკუ | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 363 | ბრეი-ბოჰემიანი | 2.45 | 3.0 | 2.7 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 22:45 | 364 | დერი-სტ.პატრიკსი | 1.75 | 3.2 | 4.3 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 22:45 | 365 | დროგედა-ჰერპსი | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 366 | შემროკი-უოტერფორდი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 368 | ლონგფორდი-დუბლინი | 1.9 | 3.1 | 3.8 | 1.17 | 1.26 | 1.7 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 466 | ამერიკა-კრუს ასული | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 426 | არსენალი-მანჩესტერი | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 431 | უდინეზე-რომა | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 432 | ოლიმპიაკოსი-არისი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 468 | ლანდსკრონა-მალმიო | 3.4 | 3.2 | 2.0 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 457 | ატლეტიკო პრ-სერო | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 458 | უნ.ჩილე-სანტოსი | 2.6 | 3.0 | 2.4 | 1.39 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 459 | ონსე კალდასი-ტიგრესი | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები ხენტ პოლტენი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 512 | დავიდენკო-მანტილა | 1.35 | 2.9 | | | | |
| 15:00 | 513 | მელცერი-სანჩესი | 1.65 | 2.2 | | | | |

ირაკლი პირტაია

# უნივერსიტეტი მესამეა
## მამუკა და მისი რაზმი

**გულქვა** უნდა იყო, თსუ-ს ეს წარმატება რომ არ გაგიხარდეს. დინამოელებს და მათ ქომაგებს ეს, რა თქმა უნდა, არ ეხებათ, ხოლო დანარჩენებს ალბათ ესიამოვნათ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს მონდომება რომ დაუფასდა.

თსუ ამ ჩემპიონატის ყველაზე მზარდი გუნდი გახლდათ. მამუკა ტურაშვილი თავის შეგირდებს სხვებისგან განსხვავებული ტაქტიკით ათამაშებდა და თუ საქართველოში რომელიმე გუნდს პრესინგი ეხერხება, ეს პირველ რიგში თსუ-ა.

ამაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ თსუ-ში რამდენიმე ახალგაზრდა თამაშობს და ისინი გუნდის ხერხემალს წარმოადგენენ. ესაა გუნდი, რომელშიც ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია, ლიდერობა იტვირთოს, ხოლო მომდევნო მატჩში სტუდენტებს სულ სხვა მოეველინოთ წინამძღოლად.



ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

ერთიცაა, თსუ-ს ამ სეზონში ძალიან უჭირდა და რამდენჯერმე ჩემპიონატისთვის თავის დანებებაც დააპირა, მაგრამ დაპირებით მივიდა პლეი ოფამდე, რის შემდეგაც საქმე ბოლომდე მიიყვანა.

იგივეს ვიტყვით „დინამოს" შესახებაც: გულქვა უნდა იყოს ადამიანი, ზურაბ ტომარაძის გუნდი რომ არ შეეცოდოს. ვიცე-ჩემპიონები ჩემპიონობაზე ოცნებობდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ, თუმც საბოლოოდ პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდნენ.

ეს პირველ რიგში ალბათ ტრავმებს უნდა დაბრალდეს, თორემ თამაშის ორგანიზაციის მხრივ „დინამო" ერთ-ერთი სამაგალითო გუნდია საქართველოში [illegible], დინამოელებს სხვებზე ნაკლები [illegible] ლასისა და გამოცდილების მოთამაშენი ჰყავდათ, მაგრამ [illegible] ზონის განმავლობაში მათ [illegible] არავის დაუდეს. აი, გადამწყვეტი მატჩებისას კი ხელი მოეცარათ.

გუშინდელ გადამწყვეტ მატჩში „დინამოს" მთავარი ლიდერი [illegible] დაცვის ბურჯი შიო [illegible] აკლდა. ეს რომ არა, თსუ-ს [illegible] ან გაუჭირდებოდა [illegible] დლის მოპოვება, თუმც [illegible] რიანი წვალება დასჭირდა.

თამაშის გარნევას [illegible] ბით და მხოლოდ ერთის [illegible], თსუ-ს უდიდესმა [illegible] ანობამ გადაწყვიტა ამ მატჩის ბედი. ბოლო წუთზე რომ სტუდენტებს უფრო გაუმართლათ, შემთხვევითი ალბათ არც იყო. [illegible] ელები ისე გაანაწყენა [illegible] რომ მათ ნამატჩევს თამაშის [illegible] და სტატისტიკა შეხვედრის [illegible] დაუტოვეს.

# ჩემპიონობის სურნელი
## ტექნიკური ბოლო წუთი

**ჩემპიონის** ვინობა შესაძლოა, დღესვე გაირკვეს. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა გუშინ პრინციპული მატჩი მოუგო „ავიამშენს", ფინალურ სერიაში 2:1 დაწინაურდა და პირველობამდე ერთი ნაბიჯიღა უკლია.

ამ ერთი ნაბიჯის გადადგმა ისეთი იოლი არ იქნება, როგორც ალბათ სტუდენტებს ჰგონიათ. „ავიამშენი" ნებისმიერ შემთხვევაში გაშმაგებით დაეძგერებოდა სტუ-ს დღევანდელ შეხლაში და მით უმეტეს ახლა გამოიდებს თავს, როცა ფინალური სერიის თითქმის მოგებული მატჩი წააგო.

დიახ, „ავიამშენს" გუშინ ბოლო წუთზე გამოეცალა ხელიდან გამარჯვება, მანამდე კი თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში იგებდა. ძნელია ახსნა, თუ რატომ ჩაგდო სტუმ გადამწყვეტი ბურთები და რატომ ვერ მოახერხა იგივეს გაკეთება „ავიამშენმა", მაგრამ ერთის თქმა კი შეიძლება — გუშინ სტუ უფრო შეკრულ და გამარჯვებისკენ მავალ გუნდს ჰგავდა.

თამაშის აღწერა ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება: „ავიამშენი" მთელი მატჩის განმავლობაში მცირედით იგებდა, სტუ კი ხან ქულით მიუახლოვდებოდა, ხან ორით, ერთი-ორჯერ კი გაუსწორდა კიდეც. მესამე გადასწრება სირენამდე ორიოდ წუთით ადრე მოხდა და ეს იყო სტუ-ს საამატჩოდ ყველაზე ცეცხლოვანი და სწრაფი თამაშის შედეგი. ანუ სტუმ სწორედ მაშინ გამოიჩინა ფხა, როცა მატჩის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, ხოლო „ავიატორთა" ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები, მთელი შეხვედრის განმავლობაში რომ თითქმის საათის აწყობილი მექანიზმივით მოქმედებდნენ, საბედისწერო ეპიზოდში მაინც შეცდნენ.

სანამ მატჩის გადამწყვეტ წუთებზე მოვყვებით, მანამდე აბზაზეც ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა. სტუ-ს მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილისთვის, საყარაუდოდ, სიურპრიზს წარმოადგენდა „ავიამშენის" სასტარტო ხუთეულში სათადარიგო მოთამაშეების გამოჩენა. მამუკა აბრამიძე სამი თვის წინ ავტოკატასტროფაში მოხვდა და მოედანს ახლახან დაბრუნებული ძირითადად სათადარიგო სკამზე იჯდა.



ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

რამაზ გოგობერიშვილი (ბურთით)

ასევე სამარქაფო იყო ბექა ნოზაძეც და სწორედ ეს ორი მოთამაშე ვიხილეთ „ავიატორთა" ხუთეულში.

ალბათ ამის ბრალი იყო ტექნიკოსების დებიუტში ხელი რომ მოეცარათ. მართალია, სტუმ ანგარიში გახსნა და 4:0-ით დაწინაურდა, მაგრამ „ავიატორთა" პასუხი უფრო შედეგიანი გამოვიდა და ლევან მოსეშვილის გუნდი მალე 19:10 დაწინაურდა.

შედეგიანად თამაშობდა „ავიამშენის" ტანმაღალი ბერძენიშვილ-ნინიაშვილის ტანდემი და განსაკუთრებით ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა. „ბერძენს" კაზა შენგელია ენაცვლებოდა, ნინიაშვილი კი ძირითადად მოედანზე იყო და ტექნიკოსთათვის ნომერ პირველ „მტერს" წარმოადგენდა.

მაგრამ არც სტუდენტები იყვნენ გულხელდაკრეფილნი, მათ ქორთვალა სნაიპერი გიორგი მარკოიშვილი სწყალობდა და „ავიამშენს" სოლიდური უპირატესობის მოპოვებაში ხელს უშლიდა.

მეორე მეოთხედი „ავიატორთა" 5-ქულიანი ლიდერობით განახლდა და მოსეშვილის გუნდის უპირატესობა უმალ შეიდამდე გაიზარდა. ამ დროს მოედანზე გამოჩნდა ახალგაზრდა როჩარდ მათიაშვილი, რომელიც ერთხანს ჩრდილავდა მეტოქის მეფარეებს და მისი დახმარებით სტუმ ანგარიში ქულამდე (31:32) შეამცირა.

მოსეშვილმა მოედანზე დავით თოთრლაძე შეუშვა, რომელმაც „ავიატორთათვის" პასების ჩამორიგება დაიწყო და მისი შეწევნით ირაკლი ხოშტარიამ და თორნიკე ნინიაშვილმა „ავიამშენს" სოლიდური ლიდერობა დაუბრუნეს — 42:33.

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ დროში კი უკვე ტექნიკოსთა კარნახით მიმდინარეობდა თამაში. ირაკლი კაიდიამ კარგი ტანდემი შექმნა მარკოიშვილთან და დიდ შესვენებამდე სტუდენტების ჩამორჩენა 4 ქულამდე შემცირდა.

მესამე მეოთხედიც ანალოგიური სცენარით წარიმართა, თითქოს გუნდები წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, რომ გამარჯვებული ვინაობა ბოლო წუთებზე გადაეწყვიტათ. ჯერ ისევ „ავია" გაიქცა, მერე სტუმ გაათანასწორა და ბოლო მეოთხედის დაწყებამდე კვლავ მოსეშვილის გუნდი ლიდერობდა — 65:63.

განახლდა თამაში და მარკოიშვილმა მეტოქის ფარის დაბომბვა ითავა. სამქულიანი, ორიანი, იქით ჯაფარიძის საჯარიმოები და „სტუ-ჯეოსელი" უკვე 69:65 დაწინაურდა. „ავიატორები" გააქტიურდნენ და შედეგიან თამაშში მათ მეტოქის ცენტრის, ირაკლი ჯაფარიძის მოედნიდან გასვლაც დაეხმარათ. სარბიელზე პირველად გამოჩნდა ირაკლი შანიძე, რომელსაც ტრავმა აწუხებდა და რომ სჩვევია, ისე ყოჩაღად ვერ გამოიყურებოდა. რა თქმა უნდა, ამით „ავიატორთა" მეფარეებმა ისარგებლეს და კაზა შენგელიას ჩინებულად ჩათამაშებული სამწუთეულის შემდეგ ახლა მოსეშვილის გუნდი დაწინაურდა — 73:69. ანუ „ავიამშენმა" ეს მონაკვეთი 10:0 მოიგო და გამარჯვების სურნელიც იგრძნო — საფინალო სირენამდე 4 წუთი იყო.

ვინ დაცალა?! მოედან ტექნიკოსი ჯაფარიძე დაუბრუნდა, მანამდე ჩინებულად მოთამაშე შენგელია კი რატომღაც მოედნიდან გავიდა. იქნებ მცა მატჩის ბოლო იყო და პოზიციურ თამაშზე აღარავინ ფიქრობდა, სარბიელი ძირითადად უკანასხნელებმა გიგამრიელს და უკანმოუხედავად უტევდნენ.

აქ კი ისეთმა კაცმა ითავა ლიდერობა, მანამდე ჩრდილში რომ იყო. რამაზ გოგობერიშვილი ამ მიმოხილვაში აქამდე არ გვიხსენებია, მაგრამ ამ გამოცდილ მოთამაშეს არავისზე ნაკლები წილი არ უდევს ტექნიკოსთა გამარჯვებაში.

ირაკლი კაიდიას საჭირო სამიანის შემდეგ გოგობერიშვილმა შედეგიანი გარღვევით ქულით დააწინაურა ტექნიკოსები — 76:75. [illegible] რულებამდე ორი წუთია, [illegible] კი გარბენით აფუჭებს „[illegible]" საპასუხო შეტევას, თუმც [illegible] ლოებს ბურთს და კვლავ [illegible] დერი.

სირენამდე წუთით ადრე [illegible] რიშვილს კვლავ წინ გაჰყავს [illegible] კოსები და ხოშტარია [illegible] ვანეს ორ საჯარიმო [illegible] დებს. სტუ-ელთა მორიგი [illegible] კი ფაქტობრივად [illegible] კვლავ გოგობერიშვილის [illegible] გარღვევა, რომელზეც [illegible] რიძდება და პერსონალურ [illegible] ტის გამო თამაშს [illegible].

გოგობერიშვილი [illegible] აგდებს ნაროზ-საჯარიმოს [illegible] ნამდე ნახევარი წუთით [illegible] 4 ქულით გადიდდა. თამაშის [illegible] აქ გადაწყდა, თუმც [illegible] ლმა „ავიატორთა" საპასუხო [illegible] გააფუჭა, ყველაფერს [illegible] ტილი.

| თსუ 2:1 დინამო (ორ გამარჯვებამდე) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ 75:72 დინამო | | | | | | |
| 15:18 22:19 21:19 17:16 | | | | | | |

| თსუ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| მაისურაძე | 11 | 4 | - | - | 3 |
| ფანჩულიძე | 20 | 5 | - | 1 | - |
| ვეფხვაძე | 12 | 7 | - | - | 2 |
| მ. ბერიშვილი | 2 | 2 | 1 | 2 | 1 |
| კოკოლიშვილი | 22 | 10 | - | 1 | - |
| გაფრინდაშვილი | 4 | 1 | 1 | 1 | 1 |
| ბაქრაძე | - | 2 | - | 1 | - |
| მარხვაშვილი | - | - | - | - | 3 |
| სანიკიძე | - | - | - | - | 1 |
| ბერაია | 4 | 1 | - | - | 1 |
| ხიზანიშვილი | - | 3 | - | - | - |

| დინამო | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 27 | 5 | 3 | 1 | 4 |
| ლაფანაშვილი | 7 | 6 | - | - | - |
| ბ. ბერიშვილი | 4 | 6 | 1 | 1 | 6 |
| კილაძე | 2 | 6 | - | - | 2 |
| ჩხატარაშვილი | 13 | 5 | 1 | 2 | 1 |
| მაისურაძე | - | - | - | - | - |
| კვიმსაძე | 5 | - | - | 1 | - |
| ლოსაბერიძე | 3 | 5 | - | - | 2 |
| სუხიშვილი | 11 | 2 | - | - | - |

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

| სტუ 2:1 ავიამშენი (სამ გამარჯვებამდე) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ 85:77 ავიამშენი | | | | | | |
| 23:28 19:18 21:19 22:12 | | | | | | |

| სტუ-ჯეოსელი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| დ. ბერიშვილი | 4 | 3 | 2 | 2 | 2 |
| კაიდია | 17 | 14 | 1 | - | - |
| გაგნიძე | 13 | 1 | 2 | 3 | 1 |
| მათიაშვილი | 6 | 3 | - | - | - |
| მარკოიშვილი | 26 | 2 | 2 | 2 | - |
| ჯაფარიძე | 8 | 7 | 2 | - | 2 |
| გოგობერიშვილი | 11 | 4 | 1 | - | 1 |
| შანიძე | - | - | - | - | - |
| მიქაძე | - | - | 1 | 1 | 1 |

| ავიამშენი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| ნიკოლაძე | 3 | 4 | 5 | - | 3 |
| ხოშტარია | 17 | 3 | 4 | | 1 |
| ბერძენიშვილი | 7 | 7 | - | - | 1 |
| აბრამიძე | 8 | 3 | 1 | - | 1 |
| ნოზაძე | 2 | 2 | - | 1 | 1 |
| თოთრლაძე | 2 | 2 | 1 | - | 2 |
| შენგელია | 7 | 9 | 1 | 1 | 5 |
| ნინიაშვილი | 26 | 13 | - | - | 2 |
| ომოცაძე | 5 | 3 | 2 | 1 | 2 |

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

## NBA PLAY OFF 2005 მეორე წრე

# ჯადო-ჯინო

## მანუ ჯინობილი: ტონი, გილოცავ დაბადების დღეს



AFP სტამბოლიდან

17 მაისი

### აღმოსავლეთი

დეტროიტი 3:2 ინდიანა

**დეტროიტი 86:67 ინდიანა**

**დეტროიტი:** ბილაფსი (13), ჰამილტონი (13), პრინსი (16 ქულა, 12 მოხსნა), რ. ვოლესი (10), ბ. ვოლესი (19 ქულა, 11 მოხსნა); მაკდაიესი (8), მილიჩიჩი (3), აროიო (2), დიუპრე (2), კემპბელი, ჰანტერი

**ინდიანა:** ტინსლი (2), მილერი (8), ჯექსონი (12), ონილი (14), დევისი (1); ჯონსონი (11), ფ. ჯონსი (5), ჯ. ჯონსი (4), ფოსტერი (4), კროშერი (2), პოლარდი (2)

**კარგა** ხანია, „დეტროიტს“ ასე დამაჯერებლად არ უბურთავია. ჩემპიონები ყველა შეხვედრაში ასე ხმაშეწყობილად რომ ერთამაშათ, აქამდე არ მოიყვანდნენ საქმეს და რეჯი მილერის კარიერას რამდენიმე დღის წინ დაამთავრებდნენ.

მილერი, მშვენივრად მოგეხსენებათ, ბოლო სეზონს ატარებს და ვისაც მისი გუნდი გადაეყარა, ამ ბებერმა სნაიპერმა ყველა გააწვალა. თუმცა ჩემპიონებთან სერიის მეხუთე შეხვედრაში მან სასწაული ვეღარ ჩაიდინა, მისი „ინდიანა“ დამარცხდა და ერთ წაგებამდე მიუახლოვდა სეზონის დასასრულს.

ინდიანელებმა თავიდან ყინჩად კი შეუტიეს მასპინძლებს და მეორე მეოთხედის შუაწელს 31:27 დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მერე ვერ გეტყვით, რა დამბლა დაეცათ, ტაიმის დარჩენილი დრო და მეორეს დასაწყისი 4:30 ჩააფლავეს და აქ წააგეს. თუმცა რატომ, ვერ გეტყვით, „ინდიანას“ დამბლა „დეტროიტის“ უნაკლო დაცვის ბრალია. სწორედ ასეთმა თამაშმა მოუტანა „პისტონზს“ ჩემპიონობა. მეორე მეოთხედის ბოლო წუთებში, როცა თითქმის ყველა ლიდერი ისვენებდა, სათადარიგო დეტროიტელებმა ანტონიო მაკდაიესის და კარლოს აროიოს მეთაურობით 15:4 იძალეს. აქედან 8 ქულა მაკდაიესმა მიითვალა, ხოლო მესამე მეოთხედის საწყის წუთებში უკვე „პისტონზის“ ხუთეულმა მოაწყო 15:0-იანი გაქცევა და „ინდიანას“ თავკაც რიკ კარლაილს ისღა დარჩენოდა, ბედს შერიგებოდა და ლიდერები მასაც დაესვენებინა. ისე, ვერც სტუმართა მარქაფებმა ახეირეს და „პეისერზმა“ 67 ქულით და 19-ქულიანი მარცხით დაასრულა შეხვედრა.

„შესაძლოა, ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო ამ პლეი ოფში — ამბობს „დეტროიტის“ ცენტრი ბენ ვოლესი — დაცვაში ყურადღებით თამაში და შეტევაში თანაგუნდელისთვის ბურთის გაზიარება — როცა ეს ორი ძირითადი რამ გვახსოვს, მაშინ ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელია, მე ვიტყოდი, თითქმის შეუძლებელი.“

### დასავლეთი

სან ანტონიო 3:2 სიეტლი

**სან ანტონიო 103:90 სიეტლი**

**სან ანტონიო:** პარკერი (11), ჯინობილი (39), ბოუენი (8), დანკანი (20 ქულა, 14 მოხსნა), მუჰამედი (19); ჰორი (4), უდრიჰი (2), ბერი, რობინსონი, ბრაუნი, მასენბურგი

**სიეტლი:** რიდნორი (12), ალენი (19), დანიელსი (17), ევანსი (4), ჯეიმსი (10); კოლისონი (14), უილკინსი (9), ფორტსონი (5), მიურეი, პოტაპენკო

**მნიშვნელოვანი** თამაში მოიგო კიდევ ერთმა საჩემპიონო გაქანების გუნდმა „სან ანტონიომაც“, რაც ყველაზე მეტად მისი არგენტინელი მოიერიშე მანუ ჯინობილის დამსახურებაა. მანუ აქამდე სათადარიგოებიდან ერთვებოდა ბრძოლაში და მშვენივრადაც. მისი „ფორმალური“ დაქვეითებით „სფურზის“ მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა ბევრიც მოიგო, მაგრამ როდესაც ჯინობილის ადგილზე დაწინაურებულ ბრენტ ბერის ქულები გაუძვირდა, პოპოვიჩმა არგენტინელი დამწყებ ხუთეულში დააბრუნა და აი, შედეგიც — მანუმ 39 ქულა მოინადირა.

„სან ანტონიოს“ ფრანგ გამთამაშებელ ტონი პარკერს „სიეტლთან“ მეხუთე მატჩის დღეს 23 წელი შეუსრულდა და ძალიანაც მოიწადინა, საკუთარი თავისთვის საჩუქარი მიეძღვნა, მაგრამ სიეტლელ ოპონენტ ლუკ რიდნორს ბევრიც ვერაფერი დააკლო და ჯინობილის ხელი რომ არ გამოელო, სიეტლელებს იმაზე წუწუნი აღარ დასჭირდებოდათ, ოლსტარელი რაშიდ ლუისი გვაკლია და ამიტომაც ვაგებთო. მანუმ მთლიანად ჩამოართვა ბურთი პარკერს და ქულების გროვებასთან ერთად პასების გაცემაც იწყო — ფარქვეშეთში იოლად პოულობდა ტიმ დანკანს და ნაზრ მუჰამედს, თუ არადა, თავად მიიბრძოდა სიეტლელთა დაცვის რიგებში. ბევრი ჩვეულად იჯადოქრა და კარიერაში უმეტესი ოდენობითაც შეაგროვა ქულები.

...ტონი პარკერმაც, რომელიც ხშირად ცოტა მჟავე ტიპად ხასიათდება, მანუს კარგი თამაში პირად საჩუქრად მიიღო — გადასარევად გაისარჯა და დიდად მაამო.

ერთი სიტყვით, „სან ანტონიომ“ წინ წაიწია გზაზე, რომლის ბოლოსაც ამ გუნდს ყოველთვის ჩემპიონობა ესურათება და თუმც სიეტლში ჯერ არ მოუგია, ეცდება, ახლა გაიმარჯვოს და მეექვსე თამაშით დაასრულოს სერია.

**კოტე ყორშია**



გუშინ კიევში დასრულდა უკრაინის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები, რომელშიც საქართველოს ახალგაზრდული გუნდიც გამოდიოდა



# საქართველომ უკრაინა უვერცხლოდ დატოვა

**ბოლო** ტურის მატჩებში, სადაც მეტოქეებს ხუთ-ხუთჯერ მოუხდათ სარბიელზე გამოსვლა, ჩვენი წყალბურთელები თავდაპირველად შეხვდნენ ლვოველ დინამოელებს, რომლებთანაც მინიმალური ანგარიშით (7:8) დამარცხდნენ. შემდეგ მოუგეს კიევის „დინამოს“ (10:8), მესამე შეხვედრაში კი კვლავ დამარცხდნენ ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან, მარიუპოლის გუნდთან (6:12). ამის შემდეგ იყო ისევ გამარჯვება ხარკოვის „დინამოსთან“ (12:7), გუშინ კი, ჩემპიონატის ბოლო მატჩში საქართველოს წყალბურთელებს ბოლო მეტოქედ ერგოთ მოლდავეთის ნაკრები, რომელთან გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ახალგაზრდა წყალბურთელები ვერცხლის მედლების მფლობელები ხდებოდნენ.

ჩვენმა წყალბურთელებმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს, [illegible] ბით ითამაშეს და იოლად სძლიეს მეტოქეს (14:6).

საბოლოოდ უკრაინის ჩემპიონატში გაიმარჯვა მარიუპოლის გუნდმა (32 ქულა). მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (26), ხოლო მესამეზე ლვოვის დინამო (25).

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## საქართველოს XV ჩემპიონატი

მეორე ფინალური წრე

# პატრონი ბრინჯაოსაც ვადამდე გამოუჩნდა

**სტუ-შევარდენი 39:25 თელავი**

**სტუ-შევარდენი:** კობახიძე (გაიტანა 13 გოლი), ნადირაძე (9), რუსია (7), ნიკოლაიშვილი (5)

**თელავი:** ნატროშვილი (9), გიორგელაშვილი (8), ზუროშვილი (4)

**საუ-მამული 39:29 ქუთაისი**

**საუ-მამული:** წივწივაძე (14), კობახიძე (6), ლალანიძე (6), ცოტაძე (5)

**ქუთაისი:** გოგონაძე (8), მამასახლისი (7), გობეჯიშვილი (5)

**ხ/კ თბილისი 25:18 ქარიშხალა**

**თბილისი:** სამარლანიშვილი (10), გელაშვილი (6), ქარდავა (4)

**ქარიშხალა:** საჯაია (6), ქირია (3), ბერძენიშვილი (3), გელა არაბული (3)

**ზედიზედ** მეორე მძიმე მატჩი ჩაატარა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის „ქარიშხალამ“. მაგრამ წინა დღეს „თელავთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ გუშინ ვიცე-ჩემპიონ „თბილისის“ საძლევად ძალა აღარ შერჩა.

არადა, მესამე ადგილისთვის მებრძოლმა ქარიშხლელებმა შეხვედრა ყოჩაღად დაიწყეს და კარგა ხანს ანგარიშიც მათ სასარგებლოდ იზრდებოდა — 3:0, 4:1, 8:5. სამბურთიან სხვაობას მეოცე წუთამდე ინარჩუნებდნენ, მერე კი წლეულს ტრადიციად ქცეული უშედეგობის პერიოდი დაუდგათ, შვიდ წუთში ერთხელაც ვერ შეძლეს ბრწყინვალედ მოთამაშე არჩილ გარიშვილისთვის ბურთის გატანა. ანგარიში გათანაბრდა — 8:8 და ტაიმიც ფრედ დასრულდა — 11:11.

შესვენების შემდეგ ივანე ქარდავას ორი სწრაფი გარღვევით თბილისელები პირველად გავიდნენ წინ და ბოლომდე აღარ მისცეს მეტოქეს წამოწევის საშუალება. თანაც „ქარიშხალას“ მორიგი ჩავარდნის დრო დაუდგა — 16 წუთში მხოლოდ ერთი ბურთის გატანა მოახერხა, „თბილისი“ კი უმთავრესად [illegible] ლაშა სამარლანიშვილის და [illegible] გელაშვილის ზუსტი [illegible] ექვსი ბურთით დაწინაურდა — 18:12.

კონკურენტის მარცხის შემდეგ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული“ ქუთაისელებთან [illegible] ვადამდე მოიპოვებდა ბრინჯაოს მედლებს, თუმცა დასაწყისი [illegible] ქუთაურ ბიჭებს კარგს არაფერს უქადდა — მეტოქეებმა ორ წუთში სამი ბურთი გაუტანეს. შემდეგ მასპინძლებმა ააწყეს თამაში და მალე გაათანაბრეს — 3:3, შუა ტაიმში კი თავად გაიჭრნენ წინ — 11:6 და მატჩის ბედიც გადაწყდა.

ქუთათურებს მონდომება არ დააკლდათ და შესვენების შემდეგ ექვსბურთიანი ჩამორჩენა ორამდე შეამცირეს — 16:18, მაგრამ მეტის მოწყვეტა ვერ შეძლეს. გიორგი წიწვიძე და მისი თანამოთამაშეები „დაიქანცნენ“ და ლამაზი გამარჯვებაც მოიპოვეს. ამ მოგებით „საუ-მამულმა“ ფინიშამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა მესამე ადგილი. ჩემპიონობა მეთხუთმეტედ დაისაკუთრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენმა“ (მთავარი მწვრთნელი ირაკლი კეკელიძე), ხოლო ვერცხლის პრიზიორი „ხელბურთის კლუბი თბილისი“ გახდა, რომლის მთავარი მწვრთნელი მამუკა მეკვანიძეა.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 24 | 0 | 1 | +357 | 49 |
| თბილისი | 20 | 1 | 4 | +96 | 41 |
| საუ-მამული | 15 | 1 | 9 | +213 | 31 |
| ქარიშხალა | 13 | 1 | 11 | +26 | 27 |
| თელავი | [illegible] | 0 | 14 | -50 | 22 |
| ქუთაისი | 9 | 1 | 15 | [illegible] | 19 |

# ძნელი ყოფილა რინგზე უმამობა
## ტიტო წავიდა, სახელი კი დარჩა

**სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადმა, რომელმაც ამას წინათ რონალდო „ვინკი“ რაიკისგან მარცხი იწვნია, გადაწყვიტა აქტიურ კრივს გამოეთხოვოს. ამგვარი გადაწყვეტილება „ტიტომ“ თავის კარიერაში უკვე მეორედ მიიღო**





**ერთ-ერთი** უმთავრესი მიზეზი, რამაც ტრინიდადს ამგვარი ნაბიჯისკენ უბიძგა, დაკავშირებულია იმასთან, რომ მამამისმა უარი თქვა შვილთან მწვრთნელის რანგში მუშაობაზე. მამა ამბობს, ამ საქმეში საკუთარი შესაძლებლობები ამოვწურე და მომავალში მხოლოდ ჩემი შვილის კარიერას დავამუხრუჭებო.

სპორტთან გამოთხოვება თავისებური ხელოვნებაა. ბევრი ირწმუნება, რომ ეს კაცმა საჭირო დროს უნდა გააკეთოს, როცა წარმატების პიკშია. ამას დაუმარცხებლად წასვლა ჰქვია. ზოგიერთ სპორტსმენს, რომლებიც ალღოთი გამოირჩევიან, მსგავსი ნაბიჯის გადადგმა გამოსდით. თუმცა, ასეთი თვისებით ყველა როდი გამოირჩევა. ჩვეულებრივ მსგავსი ამბები სავალალო სცენებით ხდება: სპორტსმენი ბევრ გამარჯვებას იმკის, მერე, ერთ მშვენიერ დღეს წარუმატებლობას გაიცდის. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია მოკრივეთათვის. გუნდურ სახეობათა წარმომადგენლები, ჩვეულებისამებრ, იმ დრომდე ასპარეზობენ, სანამ მათი ფიზიკური ფორმა მკვეთრ დაღმავლობას დაიწყებს.

კრივში ხშირია შემთხვევა, როცა რინგიდან წასული სპორტსმენი კვლავ სარბიელზე ბრუნდება, რათა ყველას დაუმტკიცოს, რომ მართლაც დიდი და დაუმარცხებელი ვარო. სამწუხაროდ, ხელახლა სპორტული ოლიმპის სათავეში მოქცევა ორმაგად რთულია და მიზანს მხოლოდ მართლაც უდიდესი ათლეტები აღწევენ.

ფელიქს „ტიტო“ თავის პროფესიონალურ კარიერაში უეჭველად იმსახურებს დიდი სპორტსმენის სახელს. მისი სახელი თამამად შეიძლება დავაყენოთ საშუალო წონის ისეთ სახელგანთქმულ მოკრივეთა გვერდით, როგორებიც იყვნენ: რეი რობინსონი, ჰენრი არმსტრონგი, რეი ლეონარდი, კარმენ ბაზილიო, უილფრედ ბენიტეზი, თომას ჰერნსი და პერნილ უიტაკერი.

ამერიკის ყველაზე ავტორიტეტული საკრივო ჟურნალი „რინგი“, ფელიქს „ტიტოს“ ბოლო 80 წლის განმავლობაში ყველა წონით კატეგორიაში 80 საუკეთესო მოკრივეს შორის 51 ადგილს აკუთვნებს.

ფელიქსმა ვარჯიში კუნძულ პუერტო რიკოზე, მრავალი სახელგანთქმული მოკრივის სამშობლოში, 12 წლისამ დაიწყო. „ტიტო“ ბავშვობიდანვე კრივით იყო გარემოცული, მამამისი და იმავდროულად მისივე მწვრთნელი და მენეჯერი ფელიქს ტრინიდად უფროსი 70-იანი წლების შუაში ქვესაშუალო წონის მოკრივეთა შორის პუერტო რიკოს ჩემპიონი იყო.

უმცროსი ტრინიდადი სამოყვარულო კარიერაში სხვადასხვა წონით კატეგორიაში ხუთჯერ პუერტო რიკოს ჩემპიონი გახდა. მის სამოყვარულო დამსახურებათა ნუსხაში 51 გამარჯვება და ექვსი მარცხია.

ტრინიდადი 1990 წელს გახდა პროფესიონალი, როცა ჩვიდმეტისა იყო. მას განზრახული ჰქონდა ნოკაუტის ოსტატის სახელი დაევდო და მიზანსაც მიაღწია. მან პირველივე ხუთი მეტოქე ნოკაუტით დასცა. მან ასევე ნოკაუტით გაიმარჯვა პირველი ათი ბრძოლიდან ცხრა შეხვედრაში. ახალგაზრდა მოკრივის წილად 33 ბრძოლაში 29 ნოკაუტით გამარჯვება მოვიდა, რაც კრივის ისტორიაში ყველაზე მაღალი პროცენტული (90) მაჩვენებელია.

რა თქმა უნდა, მისი ბრძოლების ბედი ხშირად ბეწვზეც ეკიდა. „ტიტო“ სწორედ იმიტომაცაა უდიადესი, რომ ნოკდაუნში ჩავარდნილიც კი დგებოდა და იმარჯვებდა.

ბუნებრივია, მის კოლექციაში მუდამ იყო ჩემპიონის ქამარი. მაგალითად, ტრინიდადი მსოფლიოს ჩემპიონი იყო IBF ვერსიით ქვესაშუალო წონაში (1993-1999); ჩემპიონი იყო იმავე წონაში WBC ვერსიით (1999); ჩემპიონი გახდა პირველ საშუალო წონაში WBA და IBF ვერსიებით (2000). გაიმარჯვა WBA ვერსიით საშუალო წონაშიც.

ფელიქსის დამარცხებულთა შორის არიან მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მოკრივეები, მათ შორის „ოქროს ბიჭი“ ოსკარ დელა ჰოია.

მსოფლიოს საჩემპიონო სერიის ფინალში ბერნარდ ჰოფკინსმა, რომელსაც მეტსახელად „ჯალათს“ უწოდებენ, ტრინიდადი ბოლო რაუნდის მეორე წუთზე „მედისონ სკვერ გარდენში“ შეკრებილი და გაოგნებული 19 ათასი მაყურებლის თვალწინ რინგზე დასცა.

ამ მარცხის მერე 2002 [illegible] 11 მაისს გამართულ პირველ [illegible]ში ტიტომ ოლლად [illegible] შერიფის წინააღმდეგ [illegible] ოთხე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით სძლია. ეს ტიტოს [illegible] 41-ე გამარჯვება იყო. თუმცა, [illegible] ვე ძალზე განიცდიდა „ჯალათისგან“ დამარცხებას და რინგის [illegible] სწორედ მაშინ გადაწყვიტა.

29 თვის შემდეგ ტრინიდადი კვლავ დაუბრუნდა რინგს, სადაც პირველივე ბრძოლაში [illegible] იორკს ვადამდე სძლია. [illegible] მისი მომდევნო მოწინააღმდეგე იყო რონალდ „ვინკი“ რაიკი. [illegible]ვების შემთხვევაში ტიტოს [illegible] ოდა ჰოფკინსთან [illegible] უფლება, რის გამოც ტრინიდადი რინგს დაუბრუნდა. მაგრამ, [illegible], სამწუხაროდ, ფელიქს ტრინიდადმა თავის კარიერაში მეორე მარცხი იწვნია. ამასთან, ეს უბრალოდ ფიზიკური კი არა, ფსიქოლოგიური მარცხიც იყო. უბრალოდ, [illegible] არ აღმოჩნდა დამარცხებისთვის. ამიტომაც წაგებისთანავე ტრინიდადმა მეორედ გადაწყვიტა რინგთან გამოთხოვება. ამ დროისთვის მის დამსახურებათა ნუსხაში იყო 44 ბრძოლა, 42 გამარჯვება, მათგან 35 ნოკაუტით და მხოლოდ ორი დამარცხება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც ტრინიდადს რინგთან გამოთხოვება აფიქრებინა, იყო მამამისის [illegible]:

„შევამჩნიე, რომ მე უკვე აღარ ვარ ისეთი კარგი მწვრთნელი და მენეჯერი, როგორიც [illegible] — ამბობს უფროსი ტრინიდადი — ბოლო ბრძოლებში მე [illegible] ძელი მეტოქეთა [illegible]ბურად გამოცნობა. რინგზე [illegible]ტება 75 პროცენტით [illegible] რივეზეა დამოკიდებული, [illegible] ნი 25 კი მწვრთნელზე. მე [illegible], რომ ჩემს შვილს საუკეთესო [illegible]ვებს ველარ ვაძლევ. ამიტომაც გადავწყვიტე უარი მეთქვა მისი მწვრთნელობისა და მენეჯერობისგან. ტიტოს გადაწყვეტილება [illegible]ბებულია იმითაც, რომ [illegible] ვიქნები მისი მწვრთნელი, [illegible] კრივი სურს. ამიტომაც [illegible] სახურებულ პენსიაზე „[illegible]“.

**ავთანდილ ტყვიშელი**



# ვინუსი სტამბოლში კაჟდება



ვინუს უილიამსი

AFP სტამბოლიდან

**სტამბოლის თასი**
**თიხნარი**
**საპრიზო 200 ათასი $**

**პირველი წრე**

**ანა სმაშნოვა** (3, ისრაელი) — **კატალინა კასტანიო** (კოლუმბია) 6:3 2:6 6:2; **ანა-ლინა კრიონფელდი** (5, გერმანია) — **მარიანა დიას-ოლივა** (არგენტინა) 6:3, 7:5; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — **მეგან შონესი** (6, აშშ) 6:3 7:5

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — **მარტა მარერო** (ესპანეთი) 6:0 6:0

**იქითა** ოთხშაბათს სტამბოლი რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალს მასპინძლობს, ეგ ამბავი უკვე ზანზიბარშიც უწყიან. მანამდე კი ევრაზიის გზაგასაყარზე ქალთა პირველი საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს და ყურადღების ცენტრში ვინუს უილიამსია, რომელსაც წლეულს ერთი ქეციანი ტიტულიც ვერ მოუგია და ნავსის გატეხვას იქ შეკრებილ არიფებში ეცდება. თუკი მისი პირველი მატჩით ვიმსჯელებთ — და, აკი თავადაც ხედავთ, ესპანელი მარერო კორტიდან მან ბუბლიკებით გაუშვა — ვინძლო, საამსეზონო ტიტულყაბზობის გატეხვა არ უნდა გაუჭირდეს. ეგ მით უფრო, რომ ორშაბათიდან როლანგაროსობა გვეწყება და ყოველ გამარჯვებას ახლა ჭაჩის წონა აქვს.



**შვეიცარია**

სუპერლიგა. XXXII ტური
აარაუ 0:1 შაფჰაუზენი
სენტ გალენი 5:0 ქსამაქსი
იანგ ბოისი 3:2 გრასჰოპერი

ჩელენჯლიგა. XXXII ტური
ბოლმი 2:1 ვილი
ბელინცონა 2:1 ბადენი
კიასო 7:1 ვოლენი
კრიენსი 1:1 ბულე
შო დე ფონი 1:2 სიონი
მეირინი 2:5 ივერდონი
ვადუცი 2:0 ლუგანო
ვინტერთური 2:1 კონკორდია

**შვედეთი**

ალსვენსკა. VI ტური
ჰამარბი 2:1 იურგორდენი

**იტალია**

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
*ინტერი* 3:1 კალიარი (1:1)

**ინგლისი**

ჩემპიონატი. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი
იფსვიჩი 0:2 *ვესტ ჰემი* (2:2)

**ხორვატია**

ნაციონალლიგა
XXX ტური
ჰაიდუკი 0:0 სლავენი
ზაგრები 2:1 რიეკა
ვარტეკსი 1:2 ინტერი
დინამო 3:3 ოსიეკი
მედიმური 1:0 კამენი
ზადარი 2:1 პულა

**პოლონეთი**

თასის
მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
*გროცლინი* 2:2 კორონა (4:2)
*ზაგლები* 3:0 პლოცკი (1:1)
*ლეგია* 2:1 ლეხი (0:0)

**ავსტრია**

თასის
ნახევარფინალი
*აუსტრია* 3:0 კერნტენი

**უნგრეთი**

ბორსოდი ლიგა
გადადებული მატჩი
შოპრონი 1:1 მტკ

# სამი ათასის დღეები

განთქმული გამბოლ 3000-ის ავტორალი ლონდონში დაიწყო და მონაკოში კაზინოს მოედანზე უნდა დასრულდეს. გზად კი ევროპის სხვა ქალაქებიც იყო, მაგალითად, ბუდაპეშტი, სადაც შეჯიბრი ჰუნგარორინგის განთქმულ ტრეკზე ჩატარდა. იქ მოულოდნელად გამოჩნდა ამერიკული კინოვარსკვლავი დერილ ჰანა.

AFP ლონდონიდან






AFP ჩუნჯიდან

# იტალიელი ველომხედრები

ჯირო დიტალიის ველორბოლის დასვენების დღე დამიანო კუნეგომ (მარცხნივ) და ჯილბერტო სიმონიმ მეტად თავისებურად გამოიყენეს: ჩერვიას სამხედრო ბაზაზე მივიდნენ და მთელი დღე ჯარისკაცებთან ერთად ილაშუცეს. მათი თანამემამულე, ენრიკო გასპაროტო კი სხვაგან ხარობდა: ამ უკანასკნელმა კატალონიის ტურის მეორე ეტაპი მოიგო და ლამაზმანის კოცნაც დაიმსახურა.



AFP კამბრილსიდან

# პირდაპირ ოკეანეში

ბილაბონგ პრო მოსერფეთა უგანთქმულესი შეჯიბრია, რომელიც ტაიტის ტალღებში ტარდება. ამ ჯერზე შეჯიბრი ამერიკელ კელი სლეიტერს მოუგია, რომელიც აქამდე პროფესიონალთა შორის ექვსგზის ჩემპიონობით იყო ცნობილი. სახალისო ის იყო, რომ სლეიტერმა პირდაპირ ოკეანეში გამართა პრესკონფერენცია.



AFP ტაიტიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მალაკმაძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღელიძეაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge